საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 13-14 იანვარი. 2021 წ. №7-8 (9126-9127) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მთავარი რედაქტორისგან!

თანამედროვე საქართველოს დოკუმენტური „თავგადასავალი“;

ბოლო ათ წელიწადში (2011-2021) ჩვენი ბედკრული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორია;

ამბიციური მმართველი ძალისა და კიდევ უფრო ამბიციური ოპოზიციის „სიცოცხლით სავსე“ პაექრობის პერიპეტიები;

„ოცნების“ ნაოცნებარის და ნაცების ნაბოდვარის „შემოდგომის წიწილებივით“ ნაადრევად დათვლის მცდელობა;

აბსოლუტურად უდროო დროს გაღარიბებულ-გაღატაკებული საქართველოს გადარჩენისთვის დაწყებული ბრძოლის ველის მიტოვება; თანაც, საოცარი პანდემიის დროს!

მილიარდერის ადვილად ამოსაცნობი გულისა და სულის ტკივილის „ამოძახილი“:

მოგიკვდეთ პატრონი, თქვე დაუნახავებო, როდემდე უნდა ვითმინო ჩემი და ჩემი ოჯახის დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება;

როდემდე უნდა ვითმინო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ბინძური, არაეთიკური, სიტყვითმკვლელი „პანდორას ყუთების“ სიცრუე და ორპირობა;

როდემდე უნდა ვხედავდე ჩემგან გადარჩენილი, აღზევებული და გამდიდრებული ხალხის აშკარა ღალატს, შურს, ავაზაკობას;

როდემდე! როდემდე! როდემდე!

ბიძინა ივანიშვილი არა მარტო პოლიტიკას გაეცალა, არამედ თავისივე დაფუძნებული „ქართული ოცნების“ რიგითი წევრიც აღარ იქნება!

ამიტომაც ის არასოდეს დაუბრუნდება ქართულ პოლიტიკურ წკვარამს!

ჩვენი ოპოზიცია არასოდეს იქნება მისი მიტევების, შენდობის, დანამუსების ღირსი, მისი უზადო ქველმოქმედებისა და სიკეთის ღირსი!

ჩვენი საზოგადოების თითქმის ნახევარს ისევ სააკაშვილის, გვარამიას, ბოკერიას, ნათელაშვილის, ხაბეიშვილის და სხვა „ნედლი გიჟების“, ერისა და ქვეყნის აშკარა მოღალატეების იმედი აქვს!

აი, დღევანდელი საქართველოს მთავარი უბედურება!

ამ უბედურების, ამ საყოველთაო სენის დასამარცხებლად დახარჯა ივანიშვილმა სამ მილიარდზე მეტი დოლარი, მაგრამ... აბა, როდის იყო ზნედაცემულებს. რიგითი ქართველის მაგალითის ძალა კურნავდა!

და როგორც 10 წლის წინათ (2011 წლის 7 ოქტომბერს), ბიძინა ივანიშვილმა ახლაც დაუტოვა შთამომავლობას... მაინც იმედით, რწმენით, საქართველოს გადარჩენის სურვილით აღსავსე წერილი-ანდერძი, რომლის მთავარი დედააზრი სხარტი და ადვილად გასაგებია: „რაც გვაერთიანებს, გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რაც გვყოფს და გვაპირისპირებს!“

და როგორც ათი წლის წინათ ქვეყნის ერთადერთმა წამყვანმა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაბეჭდა ის „მოსვლის“ წერილი სრულად, შეუმცირებლად, ისე დღესაც სრულად ვბეჭდავთ ბიძინა ივანიშვილის „ოცნებასთან“ გამოსათხოვარ წერილს და ქართველ ინტელიგენციას მისი გულდასმით გაცნობისკენ მოვუწოდებთ!

ბრძოლა გრძელდება! ჩვენო გონიერო მკითხველო, მოგვწერეთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებანი... ვიკამათოთ და გაზეთის ფურცლებზე მაინც ვიპოვოთ ჭეშმარიტება!

რაც გვაერთიანებს, გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რაც გვყოფს და გვაპირისპირებს!

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის რვა წელი გავიდა. ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოხდა — სამართლიანი და თანასწორი არჩევნების პირობებში მმართველმა პარტიამ ხალხისგან მესამე ვადით მართვის მანდატის მიღება შეძლო.

ეს გამარჯვება ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის ყველაზე ნათელი, მკაფიო და უდავო აღიარებაა და სწორედ ეს გამარჯვება ჩაუყრის საფუძველს ახალ ეტაპს საქართველოს ისტორიაში.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო იმჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან ორგანიზებული ერთ-ერთი ყველაზე უხეში ფალსიფიკაციის, ადამიანების დაშინების, მოსყიდვისა და პოლიტიკური ოპონენტების შევიწროების კლასიკური ნიმუში. დღეს, ზოგიერთები ურცხვად თავს იწონებენ, რომ თურმე მაშინ ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება მოხდა, რაც, როგორც ყოველთვის, სიცრუე და ცინიზმია. სინამდვილეში, 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ომში გაიმარჯვა და იძულებით, საკუთარი მომხრეების სიმრავლით და დემოკრატიული გზით დაათმობინა მოძალადე მმართველ გუნდს წლების განმავლობაში მიტაცებული ხელისუფლება. ახლა მდგომარეობა არსებითად შეიცვალა — „ქართულმა ოცნებამ“ ზედიზედ ორჯერ მოიპოვა დამაჯერებელი უპირატესობა დემოკრატიულ და თავისუფალ არჩევნებში, რაც მკაფიოდ და უდავოდ ადასტურებს ჩვენს ხელწერას. დღევანდელი მმართველი გუნდისთვის უცხოა ხელისუფლების შენარჩუნების ცდუნების გამო, ხალხის ღირსებისა და მისი არჩევანის შებღალვა. ჩვენ არასდროს გადავუხვევთ დემოკრატიისა და თავისუფლების გზას, რაც ბრძენმა ქართულმა საზოგადოებამ სათანადოდ დააფასა და კიდევ ერთხელ დაგვდო ხელისუფლებაში ყოფნის პატივი.

ამრიგად, თუ ობიექტურად გავაანალიზებთ „ქართული ოცნების“ საარჩევნო წარმატებას, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ის მოსალოდნელი და ლოგიკურია. მმართველი გუნდი დღეს არსებულ პოლიტიკურ აქტორებს შორის ყველა ნიშნით მართლაც საუკეთესო და უალტერნატივოა.

ვთვლი, რომ ჩემი მისია შესრულებულია. მივიღე გადაწყვეტილება, საბოლოოდ დავტოვო პოლიტიკა და სრულად ჩამოვცილდე მართვის სადავეებს. მე ვტოვებ როგორც პარტიის თავმჯდომარის პოსტს, ისე საკუთრივ პარტიასაც და ჩემს 2011 წლამდელ, კერძო ცხოვრების წესს ვუბრუნდები.

სულ რამდენიმე კვირაში სამოცდახუთი წელი შემისრულდება, ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პოლიტიკური საქმიანობის დასრულების გადაწყვეტილების მიღებისას. ახალგაზრდების წინ წამოწევით ნაკარნახევი ჩემი ეს ნაბიჯი არა მარტო არ შეასუსტებს, არამედ, მჯერა, კიდევ უფრო გააძლიერებს, სიცოცხლისუნარიანსა და მოტივირებულს გახდის მმართველ პარტიას, გაამხნევებს ჩვენს მომხრეებს და უფრო ენერგიულს გახდის ხელისუფლებას.

პოლიტიკიდან მივდივარ ამაყი, გამარჯვებული და ხალხის მადლიერი. ხალხმა შეძლო იმ ძალისხმევის დანახვა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე გავწიე. დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი ასევე შეაფასებს ჩემს დღევანდელ ნაბიჯსაც, რომელიც იმავე ინტერესებითაა ნაკარნახევი, რისთვისაც მე პოლიტიკაში მოვედი.

როდესაც ჩნდება კითხვა, თუ რატომ აირჩია ხალხმა „ქართული ოცნება“ 2020 წელსაც, პასუხი მარტივია. შევხედოთ, რა იყო ქვეყნისთვის წინამორბედი ხელისუფლების ცხრაწლიანი მმართველობის შედეგი და რას მიაღწია „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის რვა წლის განმავლობაში. სწორედ ახლა გვაქვს საშუალება ამოვიდეთ ყოველდღიური, ფრაგმენტირებული საინფორმაციო ამბებიდან და განვლილი ხანგრძლივი პერიოდის მთლიან სურათს დავაკვირდეთ.

არ დავმალავ და გულახდილად გეტყვით — ნამდვილად არ მინდოდა, ეს წერილი მძიმე შეფასებებით დამეტვირთა, რადგან ქართული წესით, წამსვლელი კაცი მხოლოდ მადლობას იხდის და დამრჩენს სიკეთეს უსურვებს. ეს წესი, ღვინის სამშობლოში, ქართული სუფრის განუმეორებელმა ტრადიციამ დაამკვიდრა, რომელიც, როგორც არაერთხელ ვთქვი, ყველაზე ნათლად გადმოსცემს ქართველი კაცის ყოფითი ცხოვრების არსს და ფილოსოფიას. არც მე მინდოდა ამ ეტიკეტის დარღვევა, მაგრამ ქართული სუფრისგან განსხვავებით, ქართულ პოლიტიკაში თითოეული ჩვენი მოქალაქის აწმყო და მისი მომავალი წყდება. ამიტომაც მიმაჩნია, რომ არ მაქვს უფლება, თვალი დავხუჭო და გვერდი ავუარო ჩვენი საერთო წარსულის ობიექტურ შეფასებას.

იხ. 3, 5, 7 გვ.

ჩვენ ხომ პოტენციური გუბაზ სანიკიძეები, მურმან დუმბაძეები, არმაზ ახვლედიანები, გიორგი მარგველაშვილები ვართ! 8

გერმანელი ქართველოლოგის საიუბილეოდ 6



კაინც ფენრიხი - 80

ფრანკო კორელი - „ენრიკო კარუზოს უმცროსი ძმა“ 9

გიორგი გახარია: ბოლო წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი იყო ქართული პოლიტიკის შემქმნელი, განმსაზღვრელი ძალა

ბიძინა ივანიშვილმა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ოფიციალურად განაცხადა, რომ ის ტოვებს დაკავებულ თანამდებობას და ტოვებს პოლიტიკას. რა თქმა უნდა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი იყო ქართული პოლიტიკის შემქმნელი, განმსაზღვრელი ძალა.

ყველაზე მნიშვნელოვანი აქ გახლავთ ის, რომ ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი მაგალითი, როგორ შეიძლება დათმო ხელისუფლება მაშინ, როდესაც შენი ქვეყნის ისტორიაში პირველად ძალას, რომელსაც შენ ხელმძღვანელობ და რომლის ლიდერიც ხარ, შენი მოქალაქეები და მოსახლეობა მესამედ უჭერს მხარს და აძლევს ლეგიტიმაციას და მანდატს მართოს ქვეყანა.

რა თქმა უნდა, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მაგალითია და მაგალითი იქნება ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. ეს მანდატი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ პირველად საქართველოს ისტორიაში მესამედ მიიღო, არ არის შემთხვევითი და ამ ნდობას აქვს თავისი ახსნა და ამ ნდობაშიც, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი. ეს ის როლია, რომლითაც ბოლო რვა წლის განმავლობაში ქვეყანამ მიაღწია სამართლიანობის დამკვიდრებას, ეს ის როლია, რამაც განსაზღვრა ქართული პოლიტიკის ცენტრში ადამიანი და მისი ღირსება.

ამ რვა წლის განმავლობაში, ჩვენ ყველამ ერთად, იმის გათვალისწინებით, რომ იყო უაღრესად რთული და გამოწვევებით აღსავსე პერიოდი, რა თქმა უნდა, მივაღწიეთ სერიოზულ პროგრესს. ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა, სამართალდამცავი სისტემის მუშაობა, ჯანდაცვის სისტემა, ჩვენი ქვეყნის შემდგომი ევროატლანტიკური განვითარება. ეს ყველაფერი არის ის, რასაც ქართველმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი.

„პანდემიაც იყო კიდევ ერთი მაგალითი იმისა, როგორ იდგა ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის თავის მოსახლეობასთან და მოქალაქეებთან იქ, სადაც მოსახლეობას და მოქალაქეებს ყველაზე უფრო სჭირდებოდათ და მისი როლი პანდემიასთან გამკლავებაში, რა თქმა უნდა, არის უაღრესად მნიშვნელოვანი. ყველას კარგად გვესმის, რომ ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარება არის უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა იმ გუნდისთვის, რომელსაც ჩვენმა მოქალაქეებმა დაუჭირეს მხარი არჩევნების პირობებში და რომელიც შექმნა ბიძინა ივანიშვილმა. გარდა ამისა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ რვა წლის განმავლობაში იქნა მიღწეული და რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ მიაღწია, ეს გახლავთ აბსოლუტურად საპარლამენტო დემოკრატია, პროპორციული საარჩევნო სისტემით. ეს არის ის საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის შემდგომ დემოკრატიულ განვითარებას და ესეც რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინას დამსახურებაა“.

კახა კალაძე: ბიძინა ივანიშვილის როლი შეუფასებელია!

...როდესაც პოლიტიკაში მოვიდა, მისი პირველი განაცხადი იყო, ნებისმიერი საქმის კეთება სუფთა ხელებით, ადამიანებთან გულწრფელი და გახსნილი ურთიერთობების საფუძველზე. ეს მისი ცხოვრების წესია და არასდროს დაუმალავს, რომ პოლიტიკაში შემოსვლა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნისთვის სასიცოცხლო აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ბიძინა ივანიშვილის მთავარი დაპირება იყო არა ვინმეს დამარცხება და შურისძიება, არამედ საქართველოს გამარჯვება და წინსვლა. ბიძინა ივანიშვილმა დღეს კიდევ ერთი ღია წერილით მიმართა საზოგადოებას, მთელ პოლიტიკურ სპექტრს, „ოცნების“ ამომრჩეველს და პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“. მისი განცხადება პარტიის დატოვების და პოლიტიკიდან წასვლის შესახებ მოცულობითად ასახავს ყველაფერს, რაშიც ბატონ ბიძინა ივანიშვილს აქვს მონაწილეობა მიღებული, რისი შემოქმედიცაა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და რა როლი ითამაშეს მან და მისმა შექნილმა პარტიამ ქვეყნის ცხოვრებაში გასული რვა წლის განმავლობაში. მინდა, განსაკუთრებულად გამოვყო დემოკრატიის ხარისხის ზრდა, სიტყვის თავისუფლების ხელშეუხებლობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საარჩევნო რეფორმა, რომელმაც ქვეყანა მაქსიმალურად გაარიდა ავტოკრატიული რეჟიმების შექმნის საფრთხის კრიტიკულ ზღვარს. საპარლამენტო რესპუბლიკა, საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფუნქციების სწორად განსაზღვრა, პროპორციული არჩევნები... ეს არის ის უდიდესი დამსახურება, რასაც მე პირადად ამ ადამიანის პოლიტიკურ და სამოქალაქო ნებას, პოზიციას მივაკუთვნებ და ამის ფასს კიდევ უფრო კარგად დაინახავს მთელი საქართველო, ჩვენი ქვეყნის პარტნიორები, მეგობრები, უკლებლივ ყველა, ვისაც აინტერესებს და გულშემატკივრობს ჩვენს ქვეყანას. ბედნიერი ვარ, რომ როცა პოლიტიკაში ჩემი კარიერის დაწყება გადავწყვიტე, ამ გზის გავლა ივანიშვილთან ერთად მომიწია და მომეცა საშუალება, არა მარტო რეჟიმის დემონტაჟში მიმეღო მონაწილეობა, არამედ თვისობრივად ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნაშიც. დიდი მადლობა მას, ვინაიდან ჩემს პოლიტიკოსად ჩამოყალიბებაში დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული...

კიდევ ერთხელ ვთავაზობთ ოპოზიციურ პარტიებს, ჩაერთონ საპარლამენტო მუშაობაში და საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის საქმიანობაში, რათა ნათელი მოვფინოთ სიმართლეს არჩევნებთან დაკავშირებით, – ამის შესახებ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

კობახიძის თქმით, ოპოზიციურ პარტიებს სთავაზობენ, გადაამოწმონ იმდენი საარჩევნო უბნის მონაცემები, რამდენიც საჭიროდ ჩაითვლება სიმართლის დასადგენად.

„გვესმის, რომ დღეს საზოგადოების ყურადღება მთლიანად მიმართულია ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადებისკენ, თუმცა გვსურს, გაგიზიაროთ ჩვენი პოზიცია მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, საპარლამენტო მუშაობაში ჩაერთო ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანება – „ევროპელი სოციალისტები“, რამაც საბოლოოდ ჩამოშალა რადიკალური ოპოზიციის მიერ დაგეგმილი „ერთპარტიული პარლამენტის“ სცენარი.

ირაკლი კობახიძე: არჩევნებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისია თებერვლის პირველსავე კვირაში შეიქმნება

ამ ვითარებაში, პარლამენტის საბოტაჟის გაგრძელებამ ყოველგვარი რაციონალური საფუძველი დაკარგა. მიუხედავად ამისა, ვხედავთ, რომ შედარებით ჯანსაღ ოპოზიციურ ძალებსაც კი, შანტაჟის შიშის გამო, ჯერ კიდევ უჭირთ ნაბიჯის გადადგმა და დემოკრატიულ საპარლამენტო პროცესში ჩართვა.

კიდევ ერთხელ ვთავაზობთ ოპოზიციურ პარტიებს, ჩაერთონ საპარლამენტო მუშაობაში და საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის საქმიანობაში, რათა ნათელი მოვფინოთ სიმართლეს არჩევნებთან დაკავშირებით – გადავამოწმოთ იმდენი საარჩევნო უბნის მონაცემები, რამდენიც საჭიროდ ჩაითვლება ამ სიმართლის დასადგენად“, – განაცხადა კობახიძემ. მისივე თქმით, საგამოძიებო კომისია შეიქმნება თებერვლის პირველსავე კვირაში.

„მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვევთ ყველა საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას, მათ შორის ეუთო/ოდირს, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომისიის მუშაობის მაქსიმალური ინკლუზიურობა და გამჭვირვალობა.

ამასთან, ბუნებრივია, ძალაში რჩება ჩვენი პირობა იმასთან დაკავშირებით, რომ თუნდაც ერთპროცენტიანი გადახრის აღმოჩენის შემთხვევაში, მმართველი პარტია დაუყოვნებლივ დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, პირადად მე კი, როგორც „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, ჩამოვშორდები პოლიტიკურ საქმიანობას. დღევანდელ ბრიფინგზე გვინდა, ასევე, შევეხოთ დაგეგმილ საარჩევნო რეფორმას, რომლის ძირითადი ასპექტები ოპოზიციურ პარტიებთან მოლაპარაკებების პროცესში შეჯერდა. არის რეფორმის გარკვეული საკითხები, რომელთა განხორციელება მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვს. პირველ რიგში, ეს ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას. დაგეგმილია ხმის მისაცემი აპარატებისა და თითის ანაბეჭდით ამომრჩეველთა რეგისტრაციისთვის განკუთვნილი ტექნიკის შეძენა, რაც გამორიცხავს როგორც ყოველგვარ მანიპულაციას, ისე ადამიანურ შეცდომას არჩევნების შედეგების დათვლისას და საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრის დაუბალანსებელი ოქმების 30-წლიან პრობლემას.

ჩვენ ვერ დაველოდებით, როდის დაასრულებს ოპოზიცია ჭირვეულობას და საპარლამენტო უმრავლესობის სახელით, ვთხოვთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ოქტომბრის უნიციპალური არჩევნებისთვის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფაზე, რომლის დასანერგად საქართველოს პარლამენტი სათანადო საკანონმდებლო ბაზას შეიმუშავებს...

გია ვოლსკი: ოპოზიციის კიდევ ერთი უსამართლობა და უტიფრობა

სხვის ჯიბეში ფულის თვლა, უაპელაციო განცხადებები, უსამართლობა და უტიფრობა არის ის, რაც ასეთი კომენტარების ავტორებს ახასიათებთ, – ასე გამოეხმაურა პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას.

ვოლსკის განცხადებით, ივანიშვილის მიერ არაერთი პროექტის წარმატებით განხორციელების გამო, ოპოზიცია ბევრჯერ გაწბილდა.

„ბიძინა ივანიშვილის მიერ ქონების საქველმოქმედო ფონდისთვის გადაცემის თემაზე ოპონენტები რას ამბობენ, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მის მოქმედებაში ახალი არც არაფერია. ახალი არის მხოლოდ ის, რომ ასეთი ნაბიჯი ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი ოპოზიციის მიერ შეფასდებოდა, როგორც პოზიტიური ნაბიჯი. ეს არის რეალობა და ამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. უამრავი პროექტი გაკეთდა და კიდევ მეტი გაკეთდება. მთავარია, რა პროექტებს განახორციელებს, რა განახორციელა და რითი დაგვამახსოვრა თავი ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ქველმოქმედმა.

საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტი, ფინანსური რესურსის მოცულობიდან და საქართველოს მომავალი ხედვიდან გამომდინარე, საკმარისია, რომ ოპოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიტიურად ან საქმიანად მსჯელობის სურვილი დაეკარგოს. საოცრებაა პირდაპირ რაც ხდება. ჩვენი ოპონენტების მავნებლობის ხარისხი გაცილებით მაღალ დონეზეა, ვიდრე გუშინ იყო.

ამდენი რეგიონის რეაბილიტაცია, საერთაშორისო უნივერსიტეტი, კიდევ რომელი პროექტი ჩამოვთვალო, რომლითაც გაწბილდნენ შეტევის ავტორები. ცენტრალური პარკის მშენებლობაზე ამდენი ხნის განმავლობაში იყო პოზიციების გამოხატვა, მათ შორის პოლიტიკურ ველზე, ახლა ეს საკითხი გადაწყდა. ახლა კიდევ უთვლიან, გარკვეული ნაწილი რატომ ბოლომდე არ გადაეცით ამ პარკს. სხვის ჯიბეში ფულის თვლა, უაპელაციო განცხადებები, უსამართლობა და უტიფრობა არის ის, რაც ასეთი კომენტარების ავტორებს ახასიათებთ“, – განაცხადა ვოლსკიმ.

ზურაბ ჯაფარიძე: ეს უპასუხისმგებლობაც არის და აბსურდიც!

„პარტია გირჩი – მეტი თავისუფლებისთვის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის პოსტით ეხმიანება:

„თუ მართლა გჯერა, რომ რეალურად გაიწია პოლიტიკიდან, მაშინ შეიძლება ისაუბრო უპასუხისმგებლო ქცევაზე (რამდენად თანმიმდევრულია ეს პოზიცია, როცა წლებია ივანიშვილის პოლიტიკიდან ჩამოშორებისთვის იბრძვი, სხვა საკითხია)

მაგრამ, თან ამბობდე არსად წასულა, ტყუილიაო და თან აცხადებდე პასუხისმგებლობას გაურბის არსებული გამოწვევების ფონზეო – აბსურდია; ფორმალური თანამდებობა მანდ არაფერს ცვლის. ასევე, გასაქცევად როდესაც ემზადებიან, აქტივებს აფორმებენ ოფშორულ კომპანიებზე; მე რაც ვნახე, პირიქით, ოფშორებიდან გადმოიტანა ფონდ „ქართუზე“.

ეს „ოღონდ ბიძინაზე (ოცნებაზე) მისხმის შესაძლებლობა მქონდეს და რა მნიშვნელობა აქვს რას ვიტყვი“ დამოკიდებულება არის ერთ-ერთი იმ ქცევათა შორის, რომლებიც სერიოზულად აზიანებს ოპოზიციას. სხვა, აუარებელ, სამართლიან და დამსახურებულ სხმას უკარგავს ფასს და ჭრას.“

დიქტატურა სუსტის და უნიჭოს არჩევანია!

(პირველი გვერდიდან) შესაძლოა, ზოგიერთმა ჩათვალოს, რომ დღევანდელი ჩემი წერილი მეტისმეტად კრიტიკულია, მაგრამ ჩემი მხრიდან უადგილო და ყალბი იქნებოდა ჩვენი უახლოესი წარსულის შეფასებისთვის თავის არიდება.

დიახ, ჩვენ მოგვიწია ბოროტებასთან შეჯახება, რომელსაც რამდენიმე ადამიანი ცხრა წლის განმავლობაში მეთოდურად აშენებდა და ამყარებდა. დღეს ეს ბოროტება მნიშვნელოვნად შესუსტებულია, თუმცა მისი მავნე ზემოქმედება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იგრძნობა და მის მთავარ შემაკავებელ ძალად კვლავ „ქართული ოცნება“ რჩება. ეს ის რეალობაა, რომლის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სრულფასოვანი პოლიტიკური შეფასება.

რა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი „მოლვაწეობის“ შედეგი, – ეს იყო ავტორიტარიზმი, საკუთარი თავის გაფეტიშება, შიშსა და წამებაზე დაფუძნებული დიქტატურა, მიტაცებული საჯარო სივრცე და ცრუ პროპაგანდა, პირადი ძალაუფლების გამყარების და უვადოდ გახანგრძლივების მცდელობა. მხოლოდ ეს იყო მიზანი, რის გამოც შეიცვალა კონსტიტუცია და ძვეყანა ფსევდოსაპარლამენტო მმართველობაზე გადავიდა. აღარაფერს ვამბობ ომის ტრაგედიასა და დევნილებზე, დაკარგულ ტერიტორიებსა და რუსულ ოკუპაციაზე, რაც კიდევ უფრო დამძიმებულ მემკვიდრეობად დაგვრჩა.

რა არის „ქართული ოცნების“ მმართველობის რვა წლის შედეგი – ეს გახლავთ მშვიდობა, ღია და პლურალისტული დემოკრატია გახსნილი საჯარო და საინფორმაციო სივრცით, საკონსტიტუციო რეფორმით განმტკიცებული საპარლამენტო მმართველობა, ხელისუფალის გაფეტიშების მიუღებლობა, ინსტიტუციურად დაბალანსებული ხელისუფლება, პოლიტიკისგან გამიჯნული მართლმსაჯულება და საჯარო ინსტიტუტები, კანონის უზენაესობა და მის წინაშე თანასწორობა, სამართლიანი არჩევნების პრაქტიკის დამყარება, დაბოლოს, პოლიტიკიდან დროული წასვლა იმ მიზეზთა გამო, რასაც ეს წერილი ეძღვნება. კარგად ვიცი, რა კუდებს გამოაბამს ოპოზიცია ჩემს ყოველ სიტყვას და, ამის მიუხედავად, მაინც ვიტყვი სათქმელს ყველა ნორმალური და მოაზროვნე მკითხველისთვის. დანარჩენებისთვის – ცხოვრება გამოაჩენს...

პოლიტიკაში შემოსვლის მიზანი და ამოცანები

2011 წელს პოლიტიკაში ჩემი მოსვლის მიზანი იყო ორი ამოცანის შესრულება:

1) მიხეილ სააკაშვილის ძალადობრივი, არაჰუმანური და არადემოკრატიული რეჟიმის არჩევნების გზით დასრულება, რადგან ჩემი უშუალო მონაწილეობის გარეშე იმდროინდელ ოპოზიციას არ ჰქონდა ხელისუფლების შეცვლის არანაირი რესურსი;

2) ქართველი ხალხის მიერ არჩეული ევრო-ატლანტიკური კურსით ქვეყნის შეუფერხებელი სვლა, რადგან სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნას და, მით უმეტეს, ხელისუფლების შენარჩუნებას, საზოგადოება აღიქვამდა მისდამი დასავლეთის მხარდაჭერად. ეს ავტომატურად განაპირობებდა მკვეთრ აგრესიას ქვეყნის დასავლური ორიენტაციისადმი. სწორედ ამან შექმნა საქართველოს საპირისპირო ორბიტაზე გადანაცვლების საშიშროება. ამავე დროს, დასავლეთისთვის სულ უფრო ძნელი და პრაქტიკულად შეუძლებელიც კი ხდებოდა დემოკრატიის ფასადს ამოფარებული დიქტატურის მხარდაჭერა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ტვირთი ჩვენს დასავლელ პარტნიორებს „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური სუბიექტის, დაბადებამ და გამარჯვებამ ჩამოხსნა.

შედეგად, ორივე ამოცანა წარმატებით დაგვირგვინდა – მოძალადე რეჟიმი უსისხლოდ, არჩევნების გზით ჩამოვაშორეთ ხელისუფლებას და საფუძველი ჩავუყარეთ ქვეყნის მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების რვაწლიან პერიოდს.

რეტროსპექტივა

რაკი რვაწ ლიანი პერიოდის შეფასება განვიზრახე, ამ კონტექსტში მინდა შემოგთავაზოთ ამონარიდები ჩემი პირველი წერილიდან, რომელიც 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნდა. ამ ნაბიჯით მოვედი პოლიტიკაში და უაღრესად რთულ და საშიშ გარემოში თითქმის ნულიდან დავიწყე ყველაფრის შენება. წერილში შემონახულია იმ კატასტროფული ვითარების შეფასებაც, რაშიც საქართველო იმ დროს ცხოვრობდა. თუმცა, ვნახოთ, რას ვწერდი მაშინ, 9 წლის წინ, მიზნებთან დაკავშირებით:

„გადავწყვიტე, გარკვეული დროის განმავლობაში, დაახლოებით 2-3 წელი, პირადად გავუწიო კოორდინაცია შემდეგ პოლიტიკურ პროცესებს:

- **ჩემ მიერ შექმნილი ახალი პოლიტიკური პარტიისა და არსებული ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანებით მოვახდინოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების აბსოლუტური უმრავლესობით მოგება.**
- **გავარკვიოთ და ხალხთან ერთად შევიმუშაოთ ქვეყნის მართვის ოპტიმალური მოდელი, მოვახდინოთ ისეთი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომ მომავალში არათუ საშუალება, სურვილიც კი არ გაუჩნდეს ვინმეს, რომ კონსტიტუცია საკუთარ თავს მოარგოს.**
- **პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა მივიღო ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში და პასუხისმგებლობა ვიკისრო მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რათა ბოლომდე აღმოიფხვრას ისეთი მასშტაბის ელიტარული კორუფცია, რომელშიც სააკაშვილის ახლანდელი მთავრობის მაღალი ეშელონებია ჩაფლული.**
- **დავიწყოთ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა და იგი შეუქცევად პროცესამდე მივიყვანოთ.**
- **პერსპექტიული გავხადოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა.**
- **შევქმნათ რეალურად საინტერესო საინვესტიციო გარემო და ერთი ჯგუფის მიერ მონოპოლიზებული ბიზნესის ნაცვლად, საფუძველი ჩავუყაროთ ქვეყანაში ბიზნესის აღორძინებას.**
- **ბოლომდე მივიყვანო დაწყებული პირველი პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის აღორძინებას ეხება და რეალობას დავუახლოო მეორე პროექტი – ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებისა და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ.**
- **დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება.**
- **გავაღრმაოთ აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია“**

„...პრობლემა პრეზიდენტებში კი არა, საზოგადოებაშია. უნდა ვაღიაროთ, რომ უძველესი კულტურის საზოგადოება დღეს პოლიტიკური კულტურის ნაკლებობას განიცდის.“

„ჩვენ, საზოგადოებამ უნდა ვისწავლოთ, როგორ უნდა ავირჩიოთ და უფრო მნიშვნელოვანი – როგორ ვაკონტროლოთ სახელმწიფოს მეთაური და მისი მთავრობა.

„უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოების ის კრიტიკული მასა, „რომელსაც ნებისმიერმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს“.

ჩემ მიერ დეკლარირებული თითქმის ყველა მიზანი, სტრატეგიულ დონეზე, მიღწეულია. ცხადია, განვლილ პერიოდში ცხოვრებამ კორექტივები შეიტანა, ყველაფერს არ ეყო ორი-სამი წელი, ზოგი რამ ვერ დაიძრა მკვდარი წერტილიდან. ასეთია, მაგალითად, ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა – ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა, რაც წინა ხელისუფლებისგან გვერგო. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად იცვლებოდა ტაქტიკური ამოცანებიც. თუმცა ახლა, როცა მმართველობის ორი ვადაა გასული, შედეგის შეჯამების დროს ხალხისთვის თვალის გასწორების უფლება ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილად აძვს.

საიდან დავიწყეთ

2011 წლის შემოდგომისთვის ქვეყანაში იყო უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. ოპოზიცია ძალაგამოცლილი და თითქმის განადგურებული იყო – ბოლო პოლიტიკური ერთობა ოპოზიციური „რვიანის“, შემდეგ კი, „ექვსიანის“ სახით, საბოლოოდ იყო დაშლილი.

ბიძინა ივანიშვილი 2011 წელს ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა როგორც ერთადერთი გროსმაისტერი და ერთ წელიწადში საყმაწვილო შამათით დაამარცხა მეხუთეთანრიგოსანი მოძალადეები, რომლებიც, მაშინდელი ოპოზიციის სრული უსუსურობის გამო, ძალიან ბევრს უძლეველი პოლიტიკოსები ეგონა.

ირაკლი კობახიძე

ყველას გახსოვთ, რა მდგომარეობაში იყო მედია, – სახელისუფლებო პარტიას მიტაცებული ჰქონდა და სრულად აკონტროლებდა სამივე ეროვნულ მაუწყებელს (იმედს, რუსთავი-2-ს და საზოგადოებრივ მაუწყებელს). პარტიის ლიდერები საკუთარი დღის წესრიგით მართავდნენ საინფორმაციო ველს, ისინი ადგენდნენ ახალი ამბების თანმიმდევრობას და ხშირად პირადად წერდნენ ახალი ამბების ტექსტებსაც კი! ჩართული იყო ერთიანი პროპაგანდის მანქანა, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობდა ადამიანთა შეხედულებებზე გავლენის მოხდენას. წლები დასჭირდა მიტაცებულ არხებზე სამართლიანობის აღდგენას, თუმცა, სამწუხაროდ, სიცრუის მანქანა დღესაც მუშაობს, რადგან არსად გამქრალან არც პოლიტიკური შემკვეთი, სააკაშვილის სახით, და არც ამ შეკვეთის შემსრულებლები, მედიამენეჯერებად გადაკვალიფიცირებული პარტიული ფუნქციონერებისა და ჟურნალისტების სახით. ჩვენ ბევრი რამ შევცვალეთ ამ ქვეყანაში, ბევრ გამოწვევას გავუძელით, ბევრი პრობლემა გადავლახეთ, მაგრამ სიცრუის დამარცხება და გაქრობა საინფორმაციო ველიდან ვერ შევძელით – შესაძლოა, ეს ამოცანა თანამედროვე სამყაროში შეუსრულებელიც კია. სამაგიეროდ, სახელმწიფოს სწორი მართვითა და პროპაგანდაზე უარის თქმით, ჩვენ შევძელით ადამიანებისთვის თავისუფალი და პლურალისტური გარემოს შექმნა. ამიტომაც არის, საბოლოოდ მოქალაქეთა უმრავლესობა სწორად რომ არჩევს ავსა და კარგს.

2020 წლის არჩევნები ამის ყველაზე კარგი მაგალითია.

* * *

გავიხსენოთ ეკონომიკური ვითარებაც, როგორ იყო გაკონტროლებული ქვეყანაში ყველა ბიზნესაქტივობა, როგორ იყვნენ ბიზნესზე მომსხდარი პროკურატურა და ფინანსური პოლიცია, რამხელა იყო შიში, როგორი იყო რეალური საინვესტიციო გარემო. ხელისუფლებას მთლიანად მძევლად ჰყავდა აყვანილი მსხვილი ბიზნესი და მის მხარდასაჭერად უწევდა გარჯა. ბიზნესმა დაკარგა თავისი უმთავრესი მახასიათებელი, – გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების შესაძლებლობა. არათუ რამე გარიგება, ოდნავ დიდი ფინანსური ტრანზაქციაც კი, გენერალური პროკურორის ყოველდღიურ, პირად კონტროლს ექვემდებარებოდა. ასეთივე ხელოვნური იყო ეკონომიკაც, როდესაც ლარის კურსის დაჭერა ხდებოდა 2008 წლის წაგებული ომის სანაცვლოდ მიღებული დასავლეთის ფინანსური ინექციით. ეს იყო რამდენიმემილიარდიანი სესხი, რომელიც დღემდე ვალად აწევს ქვეყანას და ხალხს. დღეს ბიზნესი არათუ თავისუფალია, არამედ მისი იგივე წარმომადგენლები უკვე აღარც პოლიტიკურ განცხადებებს ერიდებიან და არც პოლიტიკაში მოსვლას. სწორედ საჯარო სივრცისა და მედიის გახსნამ, ინსტიტუტებისა და პოლიტიკის არსებითმა გამიჯვნამ მოიტანა ეს უდიდესი დემოკრატიული შედეგი.

ხალხი გაიზარდა, ის არ შეეგუება დიქტატურას

ჩემთვის, როგორც რიგითი ქართველისათვის, სასიხარულო და საამაყოა, რომ ჩვენმა ხალხმა, ისტორიულად ძალზე ხანმოკლე პერიოდში, უნიკალური გამოცდილება და უნარები შეიძინა.

მართლაც უცნაური და უჩვეულოა, რომ თავისდა უნებურად და, ცხადია, აბსოლუტურად გაუაზრებლად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეასრულა მთავარი როლი საზოგადოების საბოლოოდ გამოღვიძების საქმეში. სწორედ მისი ბარბაროსული მმართველობის დროს ადამიანებმა მკაფიოდ და ნათლად დაინახეს, რომ თუ ოდნავ მოადუნებ ყურადღებას, უკრიტიკოდ დაუჯერებ ლამაზად შეფუთულ და პოპულისტურ დაპირებებს, ვინმეს ჯინაზე მიიღებ ემოციურ და სულსწრაფ გადაწყვეტილებას, შესაძლებელია საკუთარი ხელით აირჩიო ისეთი ხელისუფლება, რომელიც მტერზე გაცილებით უარესად, სასტიკად და დამამცირებლად მოგექცევა, დაჟინებით შეეცდება, გადაწეროს შენი ისტორია, შეარყიოს ეროვნული ღირებულებები.

ჩემი ღრმა რწმენით, ესაა ჩვენ მიერ ბრძოლით მოპოვებული სიმდიდრე, რასაც, იმედი მაქვს, რაც არ უნდა ეცადონ, ვერავინ წაშლის და გააქრობს. არასდროს დამავიწყდება, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში, რამდენიმე ჩემმა ახლობელმა და მეგობარმა მითხრა, ჩვენ გენდეთ და მხარდაჭერა გამოგიცხადეთ, ახლა შენ უნდა მიხედო ქვეყანასო. არ დავმალავ და, ამ სიტყვებმა მაშინ ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარება საბჭოთა აზროვნების ტიპური ნიმუშია. ხელისუფლების მიმართ სიფხიზლე და კონტროლი ხალხმა არასდროს არ უნდა შეასუსტოს. ახლა ჩვენი საზოგადოება არსებითად შეცვლილია. დღეს ის თავისი პოლიტიკური სიმწიფითა და თვითშეგნებით დემოკრატიის ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ევროპული ქვეყნების საზოგადოებათა მსგავსია.

ავტოკრატიის მიმართ ხალხმა გამოიმუშავა იმუნიტეტი, ის გახდა უფრო მამაცი, დინამიკური, აქტიური და შეუპოვარი, ამიტომ, არა მხოლოდ ცხრა წელი, ცხრა კვირაც კი აღარ შეეგუება ხელისუფლების მხრიდან ჩაგვრას, დაშინებას, შევიწროებას, მის თავაშვებულობასა და თვითნებობას. ამიერიდან, ვერც ერთი ხელისუფლება ვეღარ იხილავს დანებებულ და ხელებაწეულ საზოგადოებას. მჯერა, რომ პოლიტიკური ლიდერების მიმართ მიამიტურად და ბრმად ნდობის პრაქტიკაც საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. ამიერიდან, ნებისმიერი ხელისუფლება მუდმივად იქნება საზოგადოების დემოკრატიული ზედამხედველობისა და კონტროლის ალყაში. „ქართული ოცნება“ უკანასკნელი წლების განმავლობაში, ორგანიზაციული და სტრუქტურული თვალსაზრისით, ჩამოყალიბდა ჭეშმარიტად დასავლურ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ, კლასიკურ ევროპულ პარტიად, რაც იყო ჩემი ოცნება, ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი და ამოცანა.

იხ. 5 გვ.



გამოჩენილი, აღიარებული მეცნიერი

აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე

გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, დიპლომატს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსს), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრს, ღირსებისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერს გოჩა ჩოგოვაძეს დაბადებიდან 80, ხოლო სამეცნიერო-საორგანიზაციო და სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოსმა გოჩა ჩოგოვაძემ მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი გზა განვლო. იგი დაიბადა ქ. ქუთაისში 1941 წელის 11 იანვარს. 1958 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1963 წელს. 1971 წელს მან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიარსა მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრა და არჩეულ იქნა აღნიშნული კათედრის გამგედ. წლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა კათედრასთან არსებულ დარგობრივ კვლევით ლაბორატორიას. 1976 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. 1981-86 წლებში მუშაობდა საფრანგეთში, პარიზში იუნესკოს განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად. 1988 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორად, რომელსაც 1994 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1994-2004 წლებში იგი იყო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკასა და ესპანეთის სამეფოში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში. 2004 წლიდან იგი არის იუნესკოს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე არის გამოჩენილი და საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერი საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მართვის ავტომატიზირებული სისტემების განვითარებას და ამ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. მისი სამეცნიერო კვლევები ეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროს, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი. მის მიერ მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია რელაციურ დამოკიდებულებათა თეორია, მონაცემთა ბაზების ლოგიკური სქემების ავტომატიზებული დაპროექტება, ექსპერტული სისტემების კონცეპტუალური მეთოდება და სხვა. გოჩა ჩოგოვაძე 1993 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1975 წლიდან), პროფესორი (1976 წლიდან), ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის ნამდვილი წევრი, არჩეული იყო საერთაშორისო ტექნიკური ასოციაციებისა და ორგანიზაციების გაერთიანების პირველ ვიცე-პრეზიდენტად, არის ჩეხეთის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრი. აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე არის 20 მონოგრაფიის, 6 გამოგონებისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, რუსეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი ქართველი მეცნიერი. თვალსაჩინოა მისი ღვაწლი საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრების საქმეში: 2002 წელს საფუძველი ჩაუყარა ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტს, სადაც მზადდება კადრები ინფორმატიკისა და ეკონომიკის სპეციალობაში. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მუშაობას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ულოცავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძეს 80 წლის იუბილეს და უსურვებს კვლავაც ჩვეული ენერგიით ბევრი სასიკეთო საქმის განხორციელებას საქართველოსა და ქართული მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საზოგადოების სიყვარულით გარემოსილი კაცი

იური გუგუჩია 80 წლისაა

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა სასიქადულო მამულიშვილს, ძმობისა და მეგობრობის ეტალონს, უმაღლესი კლასის პროფესიონალს, საქართველოს ჰიდრომშენებელთა ბრწყინვალე წარმომადგენელს, ჩვენს ძმასა და მეგობარს, ბატონ იური გუგუჩიას.

80 წელი ამაყად სათქმელი თარიღია, ამასთან ბატონი იურის მიერ სასახელოდ განვლილი გზის ისტორიაცაა. იგი დაიბადა ქ. ზუგდიდში. ქალაქის მეორე საშუალო სკოლისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იწყება მისი წარმატებული შრომითი საქმიანობა ენგურჰესის უნიკალურ მშენებლობაზე, სადაც რიგითი სპეციალისტიდან ხელმძღვანელ თანმდებობამდე იმოღვაწა. იგი ბრძანდება მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების უშუალო მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. აქ მისი მოღვაწეობიდან შევჩერდებით მხოლოდ მთავარზე: ენგურჰესის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით აუცილებელი იყო საკავშირო სამინისტროსთან ძლიერი ფინანსური ურთიერთობის მოგვარება, რომელიც ბატონი იურის მეშვეობით განხორციელდა, რის შედეგადაც უზრუნველყოფილ იქნა მშენებლობის დამთავრება. ამასთან ერთად, მისი მონაწილეობითა და ენგურჰესის ეგიდით ფართოდ გაიშალა მშენებლობები ქვეყნის მასშტაბით, გაგრიდან დაწყებული, თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში.

ენგურჰესის კასკადის მშენებლობის დამთავრების პერიოდში ბატონი იური მივლინებულ იქნა კალიფორნიის უნივერსიტეტში, სადაც დაეუფლა ენგურჰესის კასკადისა და მისი მუშა-მოსამსახურეთა უსაფრთხოების საკითხებს, რომლებიც პრაქტიკულად დაინერგა მშენებლობაზე.

ენგურჰესის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბატონი იური წარმატებით ხელმძღვანელობდა რეგიონულ ელექტროსისტემას. იმ განუკითხაობის წლებში მან შეუძლებელიც კი შეძლო რეგიონისა და ზუგდიდის ელექტრომომარაგების საქმეში. რაც მთავარია, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობასთან კეთილი ურთიერთობის ჩამოყალიბებითა და მისი ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილ იქნა ენგურის ელექტროსისტემის შეუფერხებელი მუშაობა, რაც იმ დროს აუცილებელი იყო ქვეყნის განვითარებისათვის.

ბატონ იურის მუშაობასთან ერთად არასოდეს შეუწყვეტია აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა. ამჟამად არის ზუგდიდის ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის კოორდინატორი, მისი ხელმძღვანელობით საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ნაგებობის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. იგი აქტიურადაა ჩაბმული ქალაქ ზუგდიდის ცხოვრებასა და საზოგადოება „ზუგდიდელის“ საქმიანობაში, მისი ოჯახი აქტიურად მონაწილეობს ქველმოქმედებაში, მათი დაფინანსებით გამოიცა სქელტანიანი წიგნები: „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ და „ზუგდიდი – წარსული და თანამედროვეობა“.

ბატონი იური ბრძანდება ყოველმხრივ განათლებული პიროვნება, დამსახურებული ინჟინერი, დახვეწილი ინტელიგენტი, პროფესიონალი, ძმობისა და მეგობრობის განსახიერება, ჭირსა და ლხინში თანამდგომი და მოზიარე, ერთნაირად აქვს გათავისებული საქვეყნო ინტერესები და მოყვასის სიყვარული, შეუძლია საკუთარი ღირსების დაცვა და სხვა ადამიანების დარწმუნება, გააჩნია ახალგაზრდული შემართება, გონებისა და ნიჭის ორგანიზებულობა, ყველა საქმიდან გამოსავლის პოვნის ხელოვნება.

თავისი დამსახურების გათვალისწინებით იგი რამდენიმე ჯილდოს კავალერია, მაგრამ მისი ყველაზე მაღალი ჯილდო კოლეგების, თანამშრომლების, მეგობრებისა და საზოგადოების უსაზღვრო სიყვარულია.

სამაგალითოა ბატონი იურის ოჯახური ტრადიცია. წინაპრები და მშობლები მართლაც სასახელონი იყვნენ. სხვანაირი პიროვნება არც ეკადრებოდა მის მამას – ბატონ პეტრეს, დედას – ქალბატონ ლენას, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის აღმშენებლობის საქმეში. ქალბატონი ლენა იმ დროს სოფლის ხელმძღვანელი პირველი ქალი იყო. ბატონ იურის ღირსებასა და ავტორიტეტს მატებს მეუღლე, ქალბატონი ალა; ექიმი და მეცნიერი – შვილი შორენა; უცხოეთში მოღვაწე ბიზნესმენი და ქველმოქმედი სიძე – ბატონი ომარ ღურწკაია; შვილიშვილები და შვილთაშვილი ალექსი.

80 წელი სოლიდური ასაკია, მაგრამ ბატონ იურისთანა ყოველმხრივ გამორჩეული თვისებებით შემკობილი და ძლიერი ფიზიკური აღნაგობის პიროვნებისთვის მაინც ცოტად გვეჩვენება. თანამედროვე სამედიცინო მიღწევები და მისეული შემართება იმის საფუძველს იძლევა, რომ დიდხანს იცოცხლოს ზუგდიდელთა სასახელოდ და ერის სასიკეთოდ.

უფალმა ინებოს!

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, გურამ გუნავა, იგორ ქობალია, თენგიზ შანავა, ვაჟა თორდია, რეზო არველაძე, დავით მირცხულავა, დავით ზუბიტაშვილი, თენგიზ დადიანი, სოსო კეიდია, ადიკო გვალია, თამაზ ცანავა, ლერი, ოთარ, თენგიზ ჭითანავები, მურმან ნაჭყებია, კარლო ვეკუა, გივი სოსელია, ნუგზარ სართანია, როინ ფარცვანია, ვაჟა ფიფია.

თენგიზ ცერცვაძე:

ჩინური ვაქცინის შემოტანაზე რეკომენდაცია არ გამიცია!

ბოლო დღეებში ცალკეული მედიასაშუალებები შესაშური გულმოდგინებით ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ თითქოს მე რეკომენდაციას ვუწევ ქვეყანაში ჩინური წარმოების COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შემოტანას, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, – ამის შესახებ განცხადებას თბილისის ინფექციური საავადმყოფოს გენერალური დირექტორი თენგიზ ცერცვაძე ავრცელებს.

1. მე ვხელმძღვანელობ მხოლოდ COVID-19-ის კლინიკური მართვის ჯგუფს, არ ვარ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრი და შესაბამისად, არ ვმონაწილეობ ქვეყანაში ამა თუ იმ ვაქცინის შემოტანის გადაწყვეტილების მიღებაში საკონსულტაციო დონეზეც კი.

2. რამდენადაც ვიცი, ამჟამად ქვეყნის და ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ძალიან აქტიურად მუშაობს ქვეყანაში ხარისხიანი ვაქცინის რაც შეიძლება დროულად შემოტანაზე. მოლაპარაკებები მიმდინარეობს რამდენიმე ვაქცინასთან დაკავშირებით მწარმოებელ ქვეყნებთან და კომპანიებთან. პროცესში ჩართულია ჯანმოს ხელმძღვანელობა. ქვეყნის ხელმძღვანელობის პოზიციაა, რომ შემოიტანონ მხოლოდ ის ვაქცინა, რომელსაც ექნება ჯანმოს პრეკვალიფიკაცია (რეკომენდაცია) ან რომელიმე სერიოზული მარეგულირებლის (FDA და სხვ.) რეკომენდაცია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგადად ვაქცინებზე ძალიან დიდი მოთხოვნის გამო,შესაძლოა, გაძნელდეს ან ვერც მოხერხდეს მაინცდამაინც იმ კონკრეტული ვაქცინის შემოტანა, რომელიც ქვეყანას ყველაზე მეტად აწყობს.

3. პირადად მე საქართველოსთვის ოპტიმალურად მიმაჩნია ინგლისის ოქსფორდის უნივერსიტეტის და კომპანია AstraZeneca-ს მიერ წარმოებული ვაქცინის შემოტანა, ვინაიდან ეს უკანასკნელი არის მაღალი ხარისხის და სანდოობის (არანაკლები, ვიდრეPfizer-ის ან Moderna-ს ვაქცინები) და ამავე დროს ის თავისუფალია ბოლო ორივაქცინისთვის აუცილებელი ლოჯისტიკური სიძნელეებისგან. კერძოდ, AstraZeneca-ს ვაქცინა არ საჭიროებს შენახვის და ტრანსპორტირებისათვის -800 ან -200 რეჟიმს და ინახება ჩვეულებრივი მაცივრის ტემპერატურაზე. ჩემი ეს პოზიცია მკაფიოდ არის გამოხატული ყველა ინტერვიუში და გასულია ტელევიზიით...

4. რაც შეეხება ჩინური წარმოების ვაქცინას, მე აღვნიშნე და ვრჩები იმ აზრზე, რომ ის არ არის „ხელწამოსაკრავი“ და შესაძლოა, იყოს არანაკლებ ეფექტიანი, რის სასარგებლოდაც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ ვაქცინით ხდება მოსახლეობის ვაქცინირება ჩინეთში და ეს ვაქცინა შეიძინეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა თურქეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბრაზილია და სხვ. მაგრამ ვიმეორებ, რომ მე არ გამიცია რეკომენდაცია ამ ვაქცინის შემოტანაზე, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი არ არის“, – წერს თენგიზ ცერცვაძე.

დიქტატურა სუსტის და უნიჭოს არჩევანია!

(მესამე გვერდიდან)

ბუნებრივია, „ქართული ოცნება“ ყოველთვის ვერ იქნება ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის მოსაწონი. განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლისთვის, ხელისუფლების პერიოდული ცვლილება გარდაუვალი და აუცილებელია. როდესაც ხალხის გადაწყვეტილებით, დემოკრატიული არჩევნების გზით „ქართული ოცნება“ დათმობს ხელისუფლებას, სწორედ ეს პარტია, ქართულ საზოგადოებასთან ერთად, იქნება დიქტატურის გამეორების ძირითადი შემაკავებელი და ჩამკეტი. „ქართული ოცნების“ გუნდი არავის მისცემს გასაქანს, უფლებასა და საშუალებას, დემოკრატიული გარდაქმნის ამ ურთულესი წლების მონაპოვარი ფეხქვეშ გათელოს და დაანგრიოს. ახლა, მთელი ხელისუფლება საზოგადოების ხელშია თავმოყრილი. თითოეული ადამიანის ხმას აქვს სათანადო ფასი და მნიშვნელობა.

საქართველოში აღდგენილია კონსტიტუციით გარანტირებული, რეალური სახალხო სუვერენიტეტი. იმედი მაქვს, მომავალში ადამიანები აღარასდროს აირჩევენ ხელისუფლებას, რომელიც მათზე იბატონებს, ჩვენი სამშობლოს მწარე წარსულის გამოცდილებას კი, გამოიყენებენ ბედნიერი და ღირსეული მომავლის ასაშენებლად. უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა საკუთარი გამოცდილებით დაინახა ფუნდამენტური სხვაობა მმართველობის რადიკალურად განსხვავებულ ფორმებს შორის, – როდესაც ხელისუფალი ბატონია და ხალხი მსახური, და დღევანდელი – როცა ხელისუფლებაა ხალხის მსახური. მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი საზოგადოება აღარასდროს გააკეთებს მცდარ არჩევანს და არ დათმობს თავისუფლებას. დემოკრატია და ადამიანების უფლებები უნდა გახდეს ჩვენი ერის მტკიცე კონსოლიდაციის საფუძველი, რაც საბოლოოდ თავიდან აგვაცილებს ბნელ წარსულში დაბრუნების საფრთხეს.

რაც გვაერთიანებს, გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რაც გვყოფს და გვაპირისპირებს!

დღევანდელი გუნდი საიმედოდ გააგრძელებს დაწყებულ საქმეს

„ქართული ოცნების“ ახლანდელი გუნდი, უწინდელთან შედარებით, ძირეულად განსხვავებული და განახლებულია. პირადად ჩემთვის საამაყოა, რომ დღეს „ქართული ოცნება“ არა ახალბედა და მერყევი, არამედ პირიქით, პოლიტიკურ ბრძოლებში გამობრძმედილი და გამოცდილი, ევროატლანტიკური ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის მტკიცედ გამზიარებელი, გამორჩეული სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, ხალხის სამსახურში მყოფი, ერთგული, ნიჭიერი და პატიოსანი ადამიანების მყარი ერთობაა, რომელიც სამშობლოს სიყვარულით, პატრიოტიზმით, თავდადებით, ინტელექტით, საკუთარი მოქალაქეებისადმი თანაგრძნობითა და პროფესიონალიზმით, არც ერთი შეფასების ნიშნითა თუ კრიტერიუმით არ ჩამოუვარდება ევროპული ქვეყნების მთავრობებს.

მინდა შეგახსენოთ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში „ქართული ოცნების“ გუნდის ფორმირება მიმდინარეობდა გაწბილებული და ყავლგასული პარტიისა და მისი განშტოებების მხრიდან გამუდმებული უსამართლო თავდასხმებისა და იერიშების თანხლებით. ჩვენ გავუძელით პოლიტიკურ ბრძოლას ყოველგვარი ეთიკური ნორმებისა და წესების გარეშე. პარადოქსული და უპრეცედენტოა, რომ რაც მეტ წარმატებას აღწევდა ხელისუფლება და ქვეყანა, კიდევ უფრო განრისხებულად, არაკონსტრუქციულად და მტრულად მოქმედებდა ოპოზიცია. მთელმა საზოგადოებამ ნათლად იხილა, როგორ ჯიუტად ცდილობდა ოპოზიცია, შეესუსტებინა მსოფლიოში საქართველოს ავტორიტეტი და სანდოობა, ყალბი და გამოგონილი ინფორმაციებით აეზვირთებინა ხალხი, დაეთესა საზოგადოებაში განხეთქილება, შუღლი და დაპირისპირება. თუმცა, ყველა მათი სახელმწიფოსათვის საზიანო მოქმედება საბოლოოდ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის შემდგომი გაძლიერებისა და გაორმაგებული მუშაობისათვის ერთგვარი ბიძგი და სტიმული აღმოჩნდა. ოპოზიციის მიზანდასახული მონდომების საპირისპიროდ, ჩვენ კვლავაც გვაქვს მთავარი სტრატეგიული მოკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპელი პარტნიორების უცვლელი, მზარდი და მძლავრი მხარდაჭერა. საქართველო პატარა, მაგრამ გავლენიანი, წარმატებული და მისაბაძი დემოკრატიაა, და არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაშიც. მრავალი ობიექტური თუ ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველომ დინჯი და უშეცდომო ნაბიჯებით, იმ პირობებში, როცა მსოფლიო და, მათ შორის, ჩვენი რეგიონი ბევრად საშიში, არაგანჭვრეტადი და ნაკლებად კონსოლიდირებული გახდა, შეინარჩუნა მშვიდობა და სტაბილურობა. ჩვენმა ქვეყანამ გეოპოლიტიკური რყევებისა და მოკავშირეებისათვის დამატებითი პრობლემების შექმნის გარეშე, უზრუნველყო საკუთარი ევროატლანტიკური ინტერესებისა და ამოცანების ხელშესახებად წინ წაწევა. მრავალწლიანი დაუღალავი შრომის შედეგად, შევქმენით სიღარიბის დამარცხებისა და სწრაფი ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი საფუძვლები, თავს უფლება მივეცით და დავიწყეთ განათლების უდიდესი მასშტაბის რეფორმა, რადგან მტკიცედ გვჯერა, რომ განათლება უმოკლესი გზაა თავისუფლებისკენ, რომელიც კეთილდღეობაზე გადის. ქართული ეკონომიკა დღეს სწორი და ოპტიმისტური მიმართულებით მოძრაობს, მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსმა მკვეთრად შეკვეცა შიდა და გარე ინვესტორების აქტივობა. სამეწარმეო საქმიანობისა და კონკურენციისთვის ჩამოყალიბებულია მაქსიმალურად თავისუფალი და ტოლერანტული გარემო. ჩვენ საბოლოოდ დავუსვით წერტილი ბიზნესში მთავრობის ფავორიტიზმს და ხელისუფლების გამდიდრებისათვის შექმნილ მონოპოლიებს. „ქართულმა ოცნებამ“ დაამკვიდრა ხალხის ტირანიისგან დაცვის, ხელისუფლების დემოკრატიული კონტროლისა და გარანტირებული შეკავების საიმედო კონსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემა. სამუდამოდ დავასრულეთ პოლიტიკის ფორმირებაში სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურების არაპროპორციული მონაწილეობის პრაქტიკა, რომელზეც ძირითადად დაფუძნებული იყო წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი საქმიანობა. დღეს საქართველოს ხელისუფლება გაწონასწორებული და დაბალანსებულია, არავის აქვს ზომაზე მეტი, ჭარბი და გადამეტებული ძალაუფლება. თითოეულ სახელისუფლებო შტოს აქვს მკაცრად განსაზღვრული და შემოფარგლული უფლებამოსილებები. დღეს ჩვენ გვყავს მოამაგე, მეგობრული და ხალხზე მზრუნველი ხელისუფლება.

* * *

კარგად მესმის, რომ წარმატებების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მთავარ გამოწვევად და პრობლემად ჯერ კიდევ დაუძლეველი სიღარიბე რჩება. ჯერ კიდევ ბევრია გაჭირვებაში მყოფი ოჯახი, რომელთა ყოფა გლობალურმა პანდემიამ კიდევ უფრო დაამძიმა. უამრავ ჩვენს თანამოქალაქეს უდიდესი გარჯა უწევს იმისთვის, რომ ნორმალურად გამოკვებოს ოჯახი, იზრუნოს შვილების ხარისხიან განათლებაზე, ჰქონდეს ცხოვრების ღირსეული პირობები.

დიახ, სიღარიბე ობიექტური რეალობაა, რომელსაც მე გულისტკივილით ვუსწორებ თვალს. მაგრამ ვერ მივიღებ იმ ბრალდებას, რომ სიღარიბე, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო, „ქართული ოცნების“ მმართველობის შედეგია.

არაერთხელ მითქვამს და დღესაც გავიმეორებ – დღევანდელი სიღარიბე ათწლეულობით დაგროვებული პრობლემაა და სათავეს იმ დროიდან იღებს, როდესაც ჩვენი ხელით დავანგრიეთ ახლად ფეხადგმული სახელმწიფო. დღევანდელი სიღარიბე იმ უწყვეტი დაღმასვლისა და კატაკლიზმების შედეგია, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ოცი წლის განმავლობაში გამოიარა.

ჩვენ მოვახერხეთ და შევაჩერეთ ვარდნა, დასაბამი მივეცით პროგრესს და შევამცირეთ სიღარიბე, რომლის საბოლოო დაძლევას ხელისუფლების თავდაუზოგავი შრომა, მშვიდობა, სტაბილურობა, დემოკრატია და გარკვეული დრო კიდევ დასჭირდება.

რასაკვირველია, ყველაფერი ისე ან იმ ხარისხით არ გამოგვივიდა, როგორც ჩავიფიქრეთ და ყველა ერთად რომ ველოდით. სამწუხაროდ, ობიექტურ მიზეზებთან ერთად, იყო ხარვეზები და გადაცდომებიც. ქართველები, ძირითადად, ემოციური, მეოცნებე ხალხი ვართ და მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ შესაძლებლობების თითქმის მაძსიმუმი გააკეთა, გულწრფელი ბოდიში მინდა მოვუხადო მათ, ვინც მეტს ელოდა ჩვენგან, ეკონომიკური მდგომარეობის უფრო სწრაფ გაუმჯობესებას ელოდა და იმედი გაუცრუვდა.

გული მწყდება, რომ ვერ შეიქმნა კონსტრუქციული ოპოზიცია, არ დავმალავ და გულწრფელად ვიტყვი, რომ ჩემი პოლიტიკური საქმიანობის დასასრულს, ერთ-ერთი, რაც საფიქრებლად და დარდად მიმყვება, არის ის, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიცია, რომელიც მინიმალურად მაინც დააკმაყოფილებდა ევროპული საპარლამენტო დემოკრატიისთვის დამახასიათებელ სტანდარტებს. მე არასდროს დამიშვია, რომ ხელისუფლებისთვის სასურველი იქნებოდა გარინდებული და უსიცოცხლო ოპოზიციის არსებობა. ჩემთვის მიუღებელია არა ის, რომ ოპოზიცია ხელისუფლების საქმიანობას უარყოფითად წარმოაჩენს, რაც დემოკრატიისათვის აუცილებელი და სასარგებლოც კია, არამედ გასაოცარია მათი კრიტიკის შინაარსი და დაუსრულებელი არაკონსტრუქციულობა.

პარადოქსული და უპრეცედენტოა, რომ რაც მეტ წარმატებას აღწევდა ხელისუფლება და ქვეყანა, კიდევ უფრო განრისხებულად, არაკონსტრუქციულად და მტრულად მოქმედებდა ოპოზიცია. მთელმა საზოგადოებამ ნათლად იხილა, როგორ ჯიუტად ცდილობდა ოპოზიცია, შეესუსტებინა მსოფლიოში საქართველოს ავტორიტეტი და სანდოობა, ყალბი და გამოგონილი ინფორმაციებით აეზვირთებინა ხალხი, დაეთესა საზოგადოებაში განხეთქილება, შუღლი და დაპირისპირება. თუმცა, ყველა მათი სახელმწიფოსათვის საზიანო მოქმედება საბოლოოდ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის შემდგომი გაძლიერებისა და გაორმაგებული მუშაობისათვის ერთგვარი ბიძგი და სტიმული აღმოჩნდა.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი, რა იყო განვლილი წლების განმავლობაში მთავარი ოპოზიციური პარტიების, მათი პოლიტიკური დღის წესრიგის უსიტყვო შემსრულებელი ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და სრულ მორჩილებაში მყოფი, ფსევდოთავისუფალი მედიის პოლიტიკური ბრძოლის ძირითადი ტაქტიკა. თუ ობიექტურად გავაანალიზებთ, დავასკვნით, რომ მათი სტრატეგიული მიზანი ყოველთვის იყო ხალხის ხელოვნურად აფორიაქება, ემოციებით მანიპულირება, ყალბი ახალი ამბების მეშვეობით საინფორმაციო ქაოსის, შიშის, უნდობლობისა და გაურკვევლობის შექმნა. შეგახსენებთ, რომ მე და ჩემი ოჯახი ამ რვა წლის განმავლობაში მუდმივად ვიყავით მათი შეურაცხმყოფელი პროპაგანდისა და სიცრუის ძირითადი ადრესატი და სამიზნე. ბუნებრივია, ამის მოსმენა ჩემთვის საწყენი და არასასიამოვნო იყო, მაგრამ პირადი ემოციები და, მით უფრო, ბრაზი არასდროს გამხდარა ჩემი მხრიდან რაიმე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

ძალიან გულდასაწყვეტია პოლიტიკურად გაკოტრებული პარტიის სამსახურში ჩამდგარი ზოგიერთი მედიასაშუალების ხილვა, რომელთაც სრულიად დაკარგეს მედიის შინაარსი, ფუნქცია და ელემენტარული სტანდარტის შეგრძნება. „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს კვლავ პრობლემად დარჩა სიცრუე და ტყუილზე დაფუძნებული პროპაგანდა, რომელიც ოპოზიციაში გადასული ყოფილი სახელისუფლებო გუნდის მთავარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ფეიკნიუსის პრობლემა მთელ ცივილიზებულ სამყაროს აწუხებს, საქართველოს შემთხვევაში მისმა მასშტაბმა წარმოუდგენელ უფსკრულს მიაღწია. აღვირახსნილმა პროპაგანდამ რიგითი მაყურებელი მთლიანად გააუცხოვა სატელევიზიო სივრცეს. ფაქტებით მანიპულაცია, ტყუილი და ცილისწამება ზოგიერთი მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკის ამოსავალ წერტილად გადაიქცა, რასაც არაფერი აქვს საერთო საზოგადოების ინფორმირების ფუნქციასთან. სამწუხაროა, რომ ამ ფერხულში, პარტიულ ჟურნალისტებთან ერთად, ექსპერტებად წოდებული პერსონებიც განსაკუთრებული ენთუზიაზმით არიან ჩაბმული, რომლებიც სათანადო პროფესიული ცოდნის არქონის ფონზე და ანგარების მოტივით, პოლიტიკური ოპოზიციის მხარდამჭერ სპიკერებად ჩამოყალიბდნენ.

შემაშფოთებელია ის, რომ ამ მანკიერი პროპაგანდის ორგანიზატორი და წარმმართველი ოპოზიციის ამოცანა იყო და არის არა ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში თანამონაწილეობა, არამედ ხელისუფლებისთვის შეძლებისდაგვარად გზის გადაღობვა, ხალხის კეთილდღეობის მისაღწევად მიმართული ძალისხმევის მაძსიმალურად დამუხრუჭება და შეფერხება. დიდი ილია ამბობდა, „შენ რომ ცუდკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ...“

ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში, ჯერ კიდევ 2011 წელს, როდესაც დარწმუნებული ვიყავი ქართველი ხალხის განწყობასა და გამარჯვებაში, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მოიქცეოდა დამარცხებული ძალა, ნიჭიერებაზე ზოგადი საუბრისას, გამოვთქვი მოსაზრება, რომ არანაირი ცალკე აღებული უნარი, აზროვნების სისხარტე, განათლება, პროფესიის უბადლო ფლობა და მიზანდასახულობა არ შეიძლება ჩაითვალოს ნიჭიერებად. როდესაც ადამიანის მოქმედებას თან არ ახლავს მორალური თვითშეზღუდვის ინსტინქტი და ამოსავალ წერტილად არა საზოგადოებრივი სიკეთე, ხალხისა და ქვეყნის მსახურება, არამედ ყველაფრის ფასად საკუთარი სურვილებისა და ვნებების დაკმაყოფილება დაუსახავს, ვერ უწოდებ ნიჭიერს.

იხ. 7 გვ.

გერმანელი ქართველოლოგის საიუბილეოდ



სიკეთის მთესველი

გამოჩენილ **გერმანელ ქართველოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრს, პროფ. ჰაინც ფენრიხს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.**

მართლაც გამორჩეულია ის ღვაწლი, რაც ბატონ ჰაინცს ქართული მწიგნობრული კულტურის, ქართული და ქართველური ენების კვლევისა და ფართო პოპულარიზაციის საქმეში მიუძღვის, მასშტაბურია ის შედეგები, რაც მისმა მრავალმხრივმა ნაყოფიერმა სამეცნიერო ძიებებმა მოიტანა, დამსახურებულია ის აღიარება და სიყვარული, რაც მას ქართველი საზოგადოებისაგან ერგო წილად.

ჰაინც ფენრიხი – ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორი, ამ უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 1996 წელს აირჩია თავის უცხოელ წევრად. მაშინ ბატონი ჰაინცი 55 წლის გახლდათ და უკვე ესოდენ თვალსაჩინო იყო მისი წვლილი ქართველოლოგიის წინაშე. მას შემდეგ კიდევ მეოთხედი საუკუნე გასულა მეცნიერის ნაყოფიერი, მუხლჩაუხრელი შრომისა და მისი სამეცნიერო მონაგარიც ორმაგად გაზრდილა. სწორედ ნაყოფიერება და მრავალმხრივობა იქცევს გერმანელი მეცნიერის ნაღვაწის გაცნობისას უპირველეს ყურადღებას. მისი ქართველოლოგიური ნაშრომების საერთო რაოდენობა 200 ერთეულს აღემატება, ხოლო მათგან 35-ზე მეტი ცალკე წიგნად არის დაბეჭდილი.

ჰაინც ფენრიხს 1960 წ. ჩაუბარებია იენის უნივერსიტეტის არქეოლოგიის სპეციალობაზე. მაძიებელი სტუდენტის ინტერესი მალევე გადაიხარა ქართველოლოგიის შესწავლისაკენ, იგი გადავიდა აღნიშნული უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის განყოფილებაზე და ცნობილი ქართველოლოგის, პროფ. გერტრუდ პეჩის ხელმძღვანელობით დაიწყო ზიარება ქართულ-ქართველურ ენობრივ სამყაროსთან. ხელმძღვანელის სამეცნიერო კავშირებმა განაპირობა ის, რომ ჰაინცი 1966 წ. თბილისში ჩამოვიდა და უშუალოდ აკადემიკოს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით დაიწყო ქართულ ენის შესწავლა და ქართველოლოგიის საფუძვლების დაუფლება. აქ გაეცნო იგი წამყვან ქართველ მეცნიერებს – თამაზ გამყრელიძეს, გივი მაჭავარიანს, ტოგო გუდავას, გურამ რამიშვილს, გივი ნებიერიძეს... და მათთან ურთიერთობა ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა მომავალი ქართველოლოგის დაოსტატებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ ჰაინც ფენრიხმა სწორედ თბილიში მოღვაწეობის შედეგად მოამზადა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მისი ოპონენტები გახლდნენ ა. შანიძე, შ. ძიძიგური და ტ. გუდავა. ეს მოხდა 1971 წელს, ანუ მაშინ ბატონი ჰაინცი 30 წლის ახალგაზრდა მეცნიერი იყო. ამ დაცვაზე საპაექროდ იყო წარმოდგენილი მისი თეორიულად და მასალობრივად ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი – „ენათა გენეტური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძეენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი“, რომელიც თსუ გამომცემლობამ 1978 წ. გამოსცა, როგორც მეცნიერის პირველი მონოგრაფია. ამ ნაშრომში ავტორი აყალიბებს საკუთარ თვალსაზრისებს კომპარატივისტიკის არსებითად ყველა ძირითად საკითხზე: ბგერათშესატყვისობების კანონები, ენათა დიფერენციაციისა და ფუძეენის პრობლემა, გლოტოქრონოლოგიური მეთოდის შესაძლებლობები, შედარებითი, ტიპოლოგიური და არეალური კვლევის ურთიერთმიმართება და სხვ. რაც მთავარია, ამ ნაშრომში ჩამოყალიბებულია ქართველურ ძირეულ მორფემათა ძირითადი მოდელები და პირველად ძირთა მნიშვნელოვანი რეესტრი. სწორედ ამ მონაცემებმა დაუდო სათავე მეცნიერის მიერ ქართველურ ენათა ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევის იმ მიმართულებას, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ბატონი ჰაინცის სამეცნიერო მოღვაწეობაში და მოგვიანებით ფრიად საფუძვლიანი შედეგებიც მოგვცა.

ჰაინც ფენრიხმა ქართულისა და ქართველური ენების შესწავლის გამორჩეული ინტერესი და ნიჭი გამოავლინა. იშვიათად ყოფილა ქართველოლოგიის ისტორიაში უცხოელი სპეციალისტი, ვინც ესოდენ ღრმად გაეცნო ქართულ ლიტერატურას, ვინც ასე საფუძვლიანად, ფაქტობრივი სამეტყველო ნიუანსების დონეზე დაეუფლა სალაპარაკო ქართულ ენას; ასევე ღრმად შეისწავლა ძველი ქართული, ისე, რომ ხელნაწერი მემკვიდრეობის დონეზე შეძლო ქართული წერილობითი წყაროებით სარგებლობა. მისი სამეცნიერო ინტერესი - ქართველური ენების შედარებითი კვლევის ამოცანები მოითხოვდა მეცნიერისაგან ცალკეული ქართველური ენების ღრმად გაცნობას და იგი ფაქტობრივად თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა სვანურის შესწავლას. 1967 წლის შემდეგ იგი უშუალოდ სვანეთში, სოფელ-სოფელ იწყებს სვანურ სამეტყველო ნაირსახეობებზე დაკვირვებასა და მასალის შეკრებას. ერთი მხრივ, ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევებისათვის აინტერესებდა მას ქართველურ ენათა მასალა, მეორე მხრივ - როგორც ლექსიკის აღწერითი მხარე. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით პროფ. იზა ჩანტლაძესთან თანამშრომლობით მოამზადა ჰაინც ფენრიხმა სვანურ-გერმანული ლექსიკონი, ხოლო პროფ. ოთარ ქაჯაიასთან ერთად - მეგრულ-გერმანული ლექსიკონი. სვანურით დაინტერესების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ისიც, რომ ჰაინც ფენრიხი თანმიმდევრულად თარგმნიდა და გერმანულად გამოსცემდა სვანურ თქმულებებს (1984 წ.), სვანურ ზღაპრებს - შეკრებილს უჩა ცინდელიანის მიერ (1992 წ.). ასეთივე შრომა გასწია მან მეგრულ-ლაზური ფოლკლორის თარგმნა-გამოცემისათვის: ლაზური ზღაპრები და თქმულებები (აახენი, 1995), მეგრული ზღაპრები (იენა, 1997). სვანურ-ზანური ენობრივი მონაცემების ზედმიწევნითი ცოდნა საშუალებას აძლევდა მეცნიერს ეკვლია ამ ენების აგებულების საკვანძო საკითხები, ქართველური კომპარატივისტიკის კუთხით სრულიად ორიგინალურად დაესვა რეკონსტრუქციის საკითხები.

სვანური და ზანური ზღაპრებისა და თქმულებების დასახელება საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ ჰაინც ფენრიხის დიდი დაინტერესება, საზოგადოდ, ქართული ფოლკლორითა და მითოლოგიით, ქართული სიტყვიერების მნიშვნელოვანი ნიმუშებით, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებდა ცალკეულ თარგმანებსა თუ სალიტერატურო მიმოხილვებში. ამისი შესანიშნავი მაგალითია ისეთი სოლიდური გამოცემები, როგორებიცაა: Hinter neun Bergen: Marchen der Kartwelier, Greiz/Thur.: Konig 2011, 666 გვ.; Konigin des Waldes. Sagen und Mythen aus Georgien, Greiz/Thur.: Konig 2012, 655 გვ., ასევე: „ამირანის ეპოსი“ (ვაიმარი, 1978), „ქართული ზღაპრები“ (ლაიფციგი, 1980), „ქართული თქმულებები“ (ვაიმარი, 1984), „ქართული ანდაზები“ (აახენი, 1994); „ქართული მითოლოგიის ლექსიკონი“, გამოცემული ვისბადენში 1999 წ. (359 გვერდის მოცულობით)...

ჰაინც ფენრიხის ფართო სამეცნიერო ინტერესებში წამყვანი ადგილი მაინც ქართველურ ენათა მონაცემების ისტორიულ-შედარებით კვლევას ეკუთვნის. ეს არის კვლევის სფერო, რომლის მიმართაც მეცნიერის ყურადღება არასოდეს შენელებულა – დაწყებული პირველი საკვალიფიკაციო ნაშრომით და დამთავრებული უკანასკნელი წლების გამოცემებით. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა გერმანელი მეცნიერის თანამშრომლობა ქართველ კოლეგასთან – პროფ. ზურაბ სარჯველაძესთან. მათმა სამეცნიერო პარტნიორობამ შედეგად მოგვცა ისეთი ფუნდამენტური ნაშრომი, როგორიცაა „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც პირველად 1990 წ. გამოიცა თბილისში. მისი გერმანული ვერსია ქალაქ ლაიდენში დაიბეჭდა 1995 წ. (მეორე გამოცემა – 2007 წ.). ამ ლექსიკონის განახლებული რედაქცია 2000 წ. კვლავ თბილისში გამოიცა. ბატონ ჰაინცს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ამ ლექსიკონზე მუშაობა და ის გერმანულად მნიშვნელოვნად განახლებული და გავრცობილი სახით ბოლოხანს დაიბეჭდა. ქართველური ენების ისტორიულ-შედარებით შესწავლაში საკუთარი ზოგადი შეხედულებების წარმოსაჩენად ჰაინც ფენრიხმა 1998 წ. იენაში დაბეჭდა ნაშრომი „მოსაზრებანი ქართველური რეკონსტრუქციების შესახებ“. ზ. სარჯველაძესთან თანამშრომლობით მომზადდა ასევე ევროპული ქართველოლოგიისათვის მნიშვნელოვანი სამაგიდო წიგნი – „ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი“, რომელიც გერმანულად ჯერ 1999 წ. დაიბეჭდა ჰამბურგში, საბოლოოდ კი 2005 წ. გამოიცა და ის 1632 გვერდს (20 000-ზე მეტ სალექსიკონო ერთეულს) შეიცავს.

ჰაინც ფენრიხს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული მწიგნობრული ენის სტრუქტურისა და ისტორიის კვლევაში. ჯერ კიდევ 1986 წ. გამოვიდა ლაიფციგში ქართულის ძირითადი გრამატიკული მიმოხილვა: Kurze Grammatik der georgischen Sprache, რომელიც კიდევ ორგზის გამოიცა – 1987 და 1993 წლებში. 1987 წ. გამომცემლობა „განათლებამ“ დაბეჭდა ე. ბაბუნაშვილსა და ნ. ნადარეიშვილთან თანამშრომლობით შექმნილი სახელმძღვანელო წიგნი „ქართულ-რუსულ-გერმანული სასაუბრო“ (224 გვ.).

აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკის“ გამოცემის შემდეგ ჰაინც ფენრიხი ინტენსიურად მუშაობდა ამ სახელმძღვანელოს გერმანულ თარგმანზე. მოწაფისა და უმცროსი კოლეგის მხურვალე მიწერ-მოწერა დიდ მასწავლებელთან ასახავს მის ღრმა დაინტერესებას ძველი ქართულის აგებულებით. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ჰაინცმა ჯერ ა. შანიძის სახელმძღვანელოს თარგმანი გამოსცა, შემდეგ კი თავად მიუბრუნდა ძველი ქართულის ენობრივ თავისებურებებს და 1994 წელს ჰამბურგში დაბეჭდა ეს ვრცელი სისტემური აღწერა: Grammatik der altgeorgischen Sprache.

დაბოლოს, ჰაინც ფენრიხმა ნ. ოდიშელიძესა და ნ. რაინეკთან თანაავტორობით შექმნა ქართული ზმნის სისტემური ანალიზის შთამბეჭდავი მოცულობის ნაშრომი: Georgische Verben. 3 Bde (gemeinsam...). Aachen: Shaker 2014, 2600 გვ. დიდი გერმანელი ქართველოლოგის, გ. დეეტერსის სოლიდური მონოგრაფიის შემდეგ (Das kharthwelische Verbum, ლაიფციგი,1930) ეს მართლაც საგანგებო მოვლენაა.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზევე გამოავლინა ჰაინც ფენრიხმა განსაკუთრებული დაინტერესება ქართული ლიტერატურის ისტორიით, ცალკეული მწერლებითა და ნაწარმოებებით (მათ შორის – ისტორიული რომანებით). ჯერ კიდევ 1981 წელს მან გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურის საკმაოდ ფართო მიმოხილვა (Die Georgische Literatur, თბილისი). უპირველესად ყურადღებას იქცევს ამ წიგნის ორიგინალური სტრუქტურა: ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვას ავტორი ჯერ ქართული ენის ზოგად დახასიათებას წაუმძღვარებს, შემდეგ - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ სურათს, შემდეგ კი 6 პერიოდად წარმოადგენს ქართული ლიტერატურის განვითარებას: დამწერლობამდელი ეპოქა, ადრეფეოდალური ლიტერატურა (V-XI სს), განვითარებული ფეოდალიზმის ლიტერატურა (XI-XVI სს), გვიანფეოდალური ლიტერატურა (XVI ს.- XIX ს-ის შუაწლებამდე), ახალი დროის ლიტერატურა (XIX ს-ის მეორე ნახ. – XX ს-ის I მეოთხედი) და თანამედროვე ლიტერატურა. ამას მოსდევს განმაზოგადებელი თავი: „ქართული ლიტერატურის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში“ და ერთვის საცნობარო მონაკვეთები: ქართული ლიტერატურის გერმანული თარგმანების ჩამონათვალი, გერმანული შრომები ქართული ლიტერატურის შესახებ და, ბოლოს, ფრიად შთამბეჭდავი სია იმ ქართველი მწერლებისა, რომლებიც ამ ვრცელ ლიტერატურულ ექსკურსში მოხვდნენ. უკვე ეს ინფორმაციაც მეტყველებს, თუ რაოდენ საინტერესოდ აქვს ავტორს წარმოდგენილი ქართული ლიტერატურის ისტორია. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომის გადამუშავებული გამოცემა 1993 წელს განხორციელდა გერმანიაში, აახენში. იმავე წელს და იმავე გამომცემლობამ გამოსცა ბატონი ჰაინცის კიდევ ერთი ვრცელი საცნობარო ნაშრომი ქართული ლიტერატურის შესახებ – „Georgische Schriftsteller“ (306 გვ.). ავტორი ჩვეული შრომისმოყვარეობით ქმნის ფრიად მოცულობით ნუსხას მეტ-ნაკლებად ცნობილი ქართველი მწერლებისას, საჭირო ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი ინფორმაციით, რაც, ცხადია, ქართული მწერლობის ფართო პოპულარიზაციის ამოცანას ემსახურება.

ჰაინც ფენრიხს არც საქართველოს ისტორია დაუტოვებია ყურადღების გარეშე. მან ჩვენი ისტორიის მონღოლობამდელი პერიოდის ვრცელი მიმოხილვა წარმოადგინა წიგნში „Geschichte Georgiens, Von den Anfangen bis zur Mongolenherrschaft” (200 გვ.), რომელიც 1993 წ. გამოიცა აახენში. ამ წიგნის უმთავრესი დანიშნულებაც, ცხადია, საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის საერთაშორისო პოპულარობის გაზრდაა.

სრულიად განსაკუთრებულია ჰაინც ფენრიხის წვლილი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების გერმანულად თარგმნის საქმეში. აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი ძველი ქართული საისტორიო და მხატვრული ტექსტები: გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (იენა, 2000), გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ (იენა, 2001), „თამარ მეფის ცხოვრება“ (იენა, 1998 და აახენი, 2004), „ამირანდარეჯანიანი“ (იენა, 1999). ასევე – აღორძინების შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურის თარგმანები, რაც საერთო მოცულობით ათასობით გვერდს შეადგენს. 1973 წ. ბერლინში გამოვიდა მის მიერ თარგმნილი ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. 1975 წ. დაიბეჭდა გრ. აბაშიძის „ლაშარელას“, ხოლო 1978 წ. – „დიდი ღამის“ თარგმანები. 2000 წ. იენაში გამოვიდა თანამედროვე ქართველი მწერლების რჩეული თარგმანები – „Zwischen Felsen und Geschichten, Erzahlungen aus Georgien“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი ჰაინცის მოგონებათა და შთაბეჭდილებათა წიგნი “An der silbernen Stirn der Erde 2 Reisen in Georgien“ (აახენი, 1993 წ), რომელიც გამსჭვალულია ჩვენი ქვეყნის დიდი სიყვარულისა და გულშემატკივრობის გრძნობით, ისტორიისა და კულტურის ღრმა ცოდნითა და დაფასებით, დიდი გულითადობით...

ჰაინც ფენრიხმა ასევე მეტად შინაარსიანი სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობით იცხოვრა. ფრიად ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა იენის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად, მისი წინამძღოლობით აქ მაღალ დონეზე წარიმართებოდა ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური კვლევები, იზრდებოდნენ ქართველოლოგთა ახალი თაობები, რომელთაც იგი უშუალოდ გადასცემდა ქართული ენის ცოდნასა და სიყვარულს. ბატონი ჰაინცის ხელმძღვანელობით იენაში 1973-1988 წლებში გამოვიდა რვა სამეცნიერო კრებული, რომელშიც ქართველ და გერმანელ მეცნიერთა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაიბეჭდა ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობისა თუ ისტორიოგრაფიის სფეროში. 1997 წ. ბატონმა ჰაინცმა იენის უნივერსიტეტის გამომცემლობაში შექმნა სამეცნიერო სერია (Kaukasien Reihe), რომლის რამდენიმე მნიშვნელოვანი ტომი გამოვიდა. ქართველოლოგიის ძვირფასი მემკვიდრეობაა გერმანულ-ქართული ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალი „გეორგიკა“, რომლის არსებობის სათავეებთან სწორედ ჰაინც ფენრიხი დგას. 1978 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ამ რეგულარულ გამოცემას და უპირველესად მისი შრომისმოყვარეობითა და მონდომებით გაიკაფა გზა არაერთმა ახალმა მეცნიერულმა აზრმა ევროპელი მკითხველისაკენ.

ჰაინც ფენრიხმა მართლაც გამორჩეულად შინაარსიანი და ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო, მან ცოდნისა და მეცნიერების უხვი სიკეთე დათესა და იმ ხალხის საყოველთაო სიყვარულიც დაიმსახურა, ვისი ენისა და კულტურის სამსახურსაც უძღვნა მთელი შეგნებული ცხოვრება. საესიხარულოა, რომ გამოჩენილი ქართველოლოგი თავისი დაბადების 80 წლის იუბილეს კვლავაც მხნედ და შემართებით ხვდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თითოეული წევრის, მთელი ქართველოლოგიური საზოგადოების სახელით ვულოცავთ ბატონ ჰაინცს ამ იუბილეს და ვუსურვებთ დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

დიქტატურა სუსტის და უნიჭოს არჩევანია!

(მეხუთე გვერდიდან)

მაშინ ამის ახსნას მცირემინიანი გლეხის მაგალითზე შევეცადე, რომელიც ისე ირჯება საკუთარ ეზოში, რომ მეზობელი არ შეაწუხოს. ის თანდაყოლილი ტაქტით, შინაგანად გრძნობს უხილავ საზღვარს კერძო და საზოგადო ინტერესს შორის. ეს არის მისი ღირსებით აღსავსე დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. ეს არის მისი ნიჭი. სწორედ ამიტომ არ მჯერა „ბოროტი გენიის". მე მწამს, რომ ნიჭი მხოლოდ სიკეთის თესვით, ოჯახთან, სამშობლოსთან, სამყაროსთან ჰარმონიაში ვლინდება. მას კი, ვინც დაცლილია ამ უნარისგან, ვინც არა თუ მეზობელს, ქვეყანასაც არაფრად აგდებს და მზად არის, ქვა-ქვაზე არ დატოვოს, ოღონდ საკუთარი, კერძო ინტერესი დაიკმაყოფილოს, მხოლოდ უნიჭო შეიძლება ეწოდოს.

დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო ვრწმუნდები ამ შეფასების სისწორეში. სამწუხაროდ, განვლილმა წლებმა დამარწმუნა, რომ უნიჭობა პირდაპირ კავშირშია უტიფრობასა და ღირსების არქონასთან – ულირსებობასთან. ნიჭის დეფიციტს მავანი ისეთი უტიფარი ქცევით ავსებს, რომ ბოლოს ღირსებას კარგავს, რაც ადამიანური სახის დაკარგვის ტოლფასია. თუმცა, ეს ყველაფერი ეთიკის საკითხია და მისი გადმოტანა ქართულ პოლიტიკაზე, რომელშიც ზნეობა ანაქრონიზმად და დასაცინ გულუბრყვილობადაა შერაცხილი, ზოგჯერ უმადურ საქმედაც მეჩვენება.

არადა, სწორედ უნიჭობის, უტიფრობის და ღირსებაზე უარის თქმის ნათელი გამოვლინებაა ყველა ის „საძმენი", რასაც ოპოზიციისგან ვხედავდით მთელი ეს წლები და რაც, სრული სიცხადით, 31 ოქტომბრის შემდეგ დავინახეთ:

„მერე რა, რომ დავმარცხდით?!

მერე რა, რომ არ გაყალბებულა?!

მერე რა, რომ არცერთი საპირისპირო მტკიცებულება არ გაგვაჩნია?!

მერე რა, რომ ჯიუტად არ გვსურს უბნების გადათვლა, არც კენჭისყრის ამსახველი ვიდეომასალის შემოწმება და თან ურცხვად გავურბივართ დებატებს „ძართულ ოცნებასთან", რომელმაც ეს ყველაფერი არაერთგზის შემოგვთავაზა?!

მერე რა, რომ მთელმა მსოფლიომ აღიარა ხალხის სამართლიანი არჩევანი?!

მერე რა, რომ უკლებლივ ყველა მეგობარი მოგვიწოდებს, რომ ჩვენც ვაღიაროთ იგი?!

არა!

ჩვენ მძევლად ავიყვანთ სახელმწიფოს და ხალხს, მის მშვიდობას და სტაბილურობას და იძამდე ვარყევთ ძვეყანას, ვიდრე ჩვენსას არ გავიტანთ და დამარცხებულებს გამარჯვებულად არ გამოგვაცხადებთ!

ანდა, ისეთ კრიზისში შევიყვანთ პანდემიის ფონზე დასუსტებულ ეკონომიკას, ისე დავამშევთ და გავაბოროტებთ ხალხს, რომ მხარი დაგვიჭიროს ამბოხებაში!

ჩვენ გვინდა ძალაუფლება, ეს ძალაუფლება გვინდა დღეს და ეს ძალაუფლება უნდა მივიღოთ ყველაფრის ფასად, თუნდაც ძვა ძვაზე არ დარჩენილა!"

(დაიკვირდით, როგორ ზუსტად ჯდება ეს ყველაფერი ოპოზიციის ხელწერაში, – ყოველგვარი არგუმენტისა და მტკიცებულების გარეშე, ურცხვად მოუყვნენ ხალხს ზღაპრები „ქართული ოცნების" მმართველობის შედეგად ვითომდა განცდილ რვაწლიან რეგრესზე, ქვეყნის დანგრევასა და განადგურებაზე. და ამას ამტკიცებენ იმ ფონზე, როდესაც შიდა ეროვნული სტატისტიკა (ცესკოს შედეგების მსგავსად) და საერთაშორისო რეიტინგები (ეუთო/ოდირის და მოკავშირეთა დასკვნების მსგავსად) დიამეტრულად საპირისპიროს ამტკიცებს და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში თვისებრივ გაუმჯობესებასა და პროგრესს ცხადყოფს).

ისეთი ინტენსივობით გვესმის საბოლოოდ ნიღაბჩამოხსნილი ადამიანებისგან ეს უტიფრობა, რომ მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს, ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილთან ერთად, მათ უტიფრობის და ულირსებობის ნორმად და სიქველედ გამოცხადება დაუსახავთ მიზნად.

უტიფრობის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტის, გამოყენება საზოგადოებრივ აზრზე ფსიქოლოგიური შტურმის კარგად გააზრებული ხერხია. ბოლშევიკურ რევოლუციამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, როცა სოციალისტური მოძრაობა გაჩნდა რუსეთში, დოსტოევსკი ზუსტად აღწერდა ამგვარ უტიფარ პერსონაჟებს: **„მიეცით ხალხს უფლება ულირსებობაზე და ყველას დაეუფლებით, არც ერთი იქ არ დარჩება. ჩვენი სწავლება – ესაა ღირსების უარყოფა და ღიად გამოხატული უფლება უღირსებობაზე".** ამ სახელმძღვანელოთი მოქმედებენ ისინი დღემდე, რადგან სიყვარულით შენება მათ არ შეუძლიათ, ამის ნიჭი, უბრალოდ, არა აქვთ, არც ჰქონიათ და არც იციან, რა არის ეს. არადა, ამ უნიჭობამ დაამარცხა ისინი და ამ უნიჭობამ შვა უტიფრობა, უტიფრობამ კი – ულირსებობა. **თავსლაფდასხმული, შერცხვენილი ხალხი დღესაც უტიფრად დგას, ძალადობს და ტყუილს სიმართლედ გვასაღებს.**

ორმაგად სამწუხაროა, რომ სწორედ უტიფრობა და ღირსებაზე უარის თქმა მათ ძლიერების ნიშანი ჰგონიათ. არადა, ძალმომრეობის ყველაზე ეფექტიან საშუალებად შერაცხვა, უნიჭობასთან ერთად, მათი სისუსტის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა. ძალადობდნენ ხელისუფლებაში და ძალადობენ დღესაც, – სუსტები არიან და იმიტომ. დიქტატურის დამყარებას ნიჭი არ სჭირდება. დიქტატურა სუსტის და უნიჭოს არჩევანია. ნიჭისა და ძლიერების გამოვლინება დემოკრატიულად მართვის უნარსა და სურვილშია.

ამიტომ დამარცხდნენ ხელისუფლებაში ყოფნის დროს და მარცხდებიან დღესაც.

მარცხდებიან, რადგან ხალხი, რომლის სიბრძნეშიც ვერა და ვერ დარწმუნდა საკუთარ შეცდომაში გაჯიუტებული ოპოზიცია, ზუსტად ხედავს და აფასებს განსხვავებას – „ქართული ოცნების" სახით დღეს ქვეყანას ჰყავს საზოგადოებრივ სიკეთეზე, ადამიანსა და მის მსახურებაზე ორიენტირებული ხელისუფლება, ანუ ნიჭიერი და დემოკრატიული იდეალებისა და მართვის ფორმის ერთგული, ჭეშმარიტად ძლიერი გუნდი.

ხალხი ხედავს და, ობიექტურად არსებული პრობლემების მიუხედავად, კრიტიკულ მომენტში ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას იღებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ საბოლოოდ გამოიმუშავა ეს იმუნიტეტი და აღარასოდეს გააკეთებს საპირისპირო არჩევანს.

რაც გვაერთიანებს, გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რაც გვყოფს და გვაპირისპირებს!

თავსლაფდასხმული, შერცხვენილი ხალხი დღესაც უტიფრად დგას, ძალადობს და ტყუილს სიმართლედ გვასაღებს. ორმაგად სამწუხაროა, რომ სწორედ უტიფრობა და ღირსებაზე უარის თქმა მათ ძლიერების ნიშანი ჰგონიათ. არადა, ძალმომრეობის ყველაზე ეფექტიან საშუალებად შერაცხვა, უნიჭობასთან ერთად, მათი სისუსტის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა.

ძალადობდნენ ხელისუფლებაში და ძალადობენ დღესაც, – სუსტები არიან და იმიტომ. დიქტატურის დამყარებას ნიჭი არ სჭირდება. დიქტატურა სუსტის და უნიჭოს არჩევანია. ნიჭისა და ძლიერების გამოვლინება დემოკრატიულად მართვის უნარსა და სურვილშია.

ამიტომ დამარცხდნენ ხელისუფლებაში ყოფნის დროს და მარცხდებიან დღესაც.

სწორედ ჩვენი ხალხის სიბრძნე და „ქართული ოცნების" ძლიერ გუნდად ჩამოყალიბება მაძლევს იმის რწმენას, რომ საფრთხე საბოლოოდ განეიტრალებულია და შემიძლია მშვიდად გავეცალო პოლიტიკას.

ვტოვებ პოლიტიკას იმ იმედით, რომ პოლიტიკური ეგოიზმის და ერთი კაცის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მოუთოკავი სურვილის გამო, დღევანდელი ოპოზიციის ის ნაწილიც დარწმუნდება, ვინც პოლიტიკური ნების უქონლობით, გამოუცდელობით თუ უხერხემლობით, ბოროტებისა და მისი მთავარი შემოქმედების გავლენის ქვეშ მოექცა. დარწმუნებული ვარ, ეს პარტიები აცნობიერებენ მათი ახლანდელი პოზიციის უპერსპექტივობას და თავს დააღწევენ ამ გავლენას, ანუ იბრძოლებენ საკუთარი მომავლისთვის, რაც ქართული დემოკრატიისთვისაც იქნება პერსპექტივა.

ამ ფონზე, მახსენდება 2011-2012 წლები, როდესაც ჩვენი ხალხი ითხოვდა დანაშაულებრივი რეჟიმის სამსახურში მდგომი საპოლიციო და უსაფრთხოების სამსახურების სრული შემადგენლობის დასჯას, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ ხალხზე ძალადობაში თანამონაწილე ოდესმე მის უსაფრთხოებას დაიცავდა.

მოვლენები კი, სრულიად საპირისპიროდ განვითარდა. განვითარდა ისე, როგორც მაშინვე ვაცხადებდი, პრინციპულად და საჯაროდ – თუ სისტემას ჩამოშორებოდა და მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებოდა ძალადობრივი პოლიტიკისა და იდეოლოგიის სულ რამდენიმე მოთავე და სულისჩამდგმელი, სისტემა, ყოველგვარი მასობრივი წმენდისა და რეპრესიის გარეშე, ხალხის სამსახურში ჩადგებოდა. რადგან მაშინაც მჯეროდა და ახლაც მტკიცედ მჯერა, რომ **რაც გვაერთიანებს, გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რაც გვყოფს და გვაპირისპირებს.**

მჯერა, რომ იგივე ვრცელდება პოლიტიკაზეც – თუ პარტიები საკუთარ თავში იპოვიან ძალას, გაარღვიონ მათსა და ხალხს შორის ხელოვნურად შექმნილი ჯებირები და გათავისუფლდნენ რამდენიმე დესტრუქციული პოლიტიკოსის მავნე გავლენისგან, ასევე არ დააყოვნებს მათ მიმართ ხალხის ნდობაც.

სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებში ჩვენ არ მოგვიწია ცხოვრება დიდი პოლიტიკოსებით მდიდარ ეპოქაში. საქართველო დღეს ღარიბია როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. თუმცა, ჩვენ თვალწინ იზრდებიან ახალგაზრდა, თამამი, კვალიფიციური და ენერგიით აღსავსე პოლიტიკოსები, რომელთა უანგარო და ნაყოფიერი საქმიანობა მომავლის დიდ იმედს მისახავს. დემოკრატიის კანონზომიერება ისეთია, რომ აუცილებლად გამოჩნდება კეთილსინდისიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც განათლებით, ქვეყნის გაძღოლის უკეთესი უნარითა და ინტელექტუალური პოტენციალით აჯობებს „ქართულ ოცნებას" და ამ უკანასკნელს მოუწევს ოპოზიციაში გადანაცვლება. გაგიკვირდებათ და, ესაა ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი სამომავლო ოცნება. მჯერა, რომ „ქართული ოცნება" დაიკავებს ღირსეულ ადგილს პოლიტიკური ოპოზიციის ავანგარდში და ეს პერიოდი იქნება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქვეყანაში დემოკრატიის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

დღეს, როდესაც მე საბოლოოდ მივდივარ პოლიტიკიდან და ვტოვებ საჯარო სივრცეს, მინდა ქედი მოვიხარო ქართველი ხალხის წინაშე. მე ისინი არასოდეს დამიყვია ჩემს მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, რადგან მჯერა, რომ ჩვენი სამშობლო გაცილებით დიდი ღირებულებაა, ვიდრე თუნდაც დიამეტრალურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები.

მსურს, მადლობა გადავუხადო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს პოლიტიკურ გუნდს, ყველა ჩემს თანამოაზრესა და თანამებრძოლს, ვინც მენდო, ბრძოლაში გამომყვა და დღემდე ერთგულად ემსახურება საქართველოს. მინდა წარმატებები ვუსურვო თითოეულ მათგანს.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავარ სტრატეგიულ მოკავშირეს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირის ქვეყნებს, უკლებლივ ყველა ჩვენს მეგობარსა და პარტნიორს, ვინც ურყევად მხარში უდგას ქართულ სახელმწიფოს და ქართველ ხალხს.

დაბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საჯაროდ მადლობა გადავუხადო ჩემს ოჯახს, რომელმაც მთელი ამ ხნის განმავლობაში გაუგონარი შეურაცხყოფა და ცილისწამება აიტანა, სალი კლდესავით მედგა გვერდში და ერთი წუთითაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ ჩემი არჩევანის სისწორე.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით ყველას.

ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი სამშობლო – საქართველო!

11 იანვარი, 2021 წ.

სტუდენტების მესამედს სწავლის გადასახადი სრულად ან ნაწილობრივ უფინანსდება

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სტუდენტების სწავლის სახელმწიფო დაფინანსების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. უწყების განცხადებაში აღნიშნულია, რომ ხარისხიანი და ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია, როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.

ამ ეტაპზე სტუდენტებს მესამედს სწავლის გადასახადი სრულად ან ნაწილობრივ უფინანსდება, პანდემიის დაწყებიდან კი არსებულ საგრანტო პროგრამებს ახალი ინიციატივები დაემატა. უნივერსიტეტებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკასთან დაკავშირებით – სწავლის გადასახადი გადავადდა ან შეთავაზებულ იქნა გადახდის მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკი.

„პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სოციალური დახმარების ფარგლებში (150 000 ქულა და ნაკლები) სწავლის საფასური დაუფინანსდა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში 15 015 სტუდენტს, ხოლო 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანება აუნაზღაურდა 1 588 სტუდენტს.

გარდა ამისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2020 წლის პირველი ნოემბრისა და 15 ნოემბრის მდგომარეობით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გადაირიცხა 55 589 სტუდენტის საგრანტო და პროგრამული დაფინანსება. დასრულდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსების მოპოვების პროცესი 2020-2021 სასწავლო წლისთვის.

სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მოიპოვა სხვადასხვა კატეგორიის 1539-მა სტუდენტმა, მათ შორის: სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო 3 სასწავლო წელი სრულად სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლება მიიღეს მაღალმთიანი დასახლების სკოლებში, სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო 2 წელი სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ან 2008 წლის 7 აგვისტომდე ბოლო 1 წელი სწავლობდნენ/მუდმივად ცხოვრობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო 3 სასწავლო წელი სწავლობდნენ აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან სკოლაში, ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში და თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულთა შვილებმა ან ბრძოლების შედეგად მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანებმა ან მათმა შვილებმა, მრავალშვილიანი ოჯახის (4 და მეტი შვილი) წევრებმა, უდედმამო სტუდენტებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო 3 სასწავლო წელი სრულად სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლება მიიღეს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სკოლებში, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფმა პირებმა, სტუდენტებმა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ბაზაში, სარეიტინგო ქულით 70000 ან ნაკლები).

სამინისტროს მიერ ფინანსდება პროგრამა „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს", რომლის ფარგლებში თვეში 150 ლარის ოდენობით სტიპენდიას იღებენ სსიპ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები. 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტიპენდია გადაეცა 3243 სტუდენტს.

გრძელდება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების პროგრამა 2020-2021 სასწავლო წლის სწავლის საფასურის სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული მოცულობით დაფინანსების მიზნით. მიმდინარეობს მუშაობა გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, საჩხერის, ონის, წალენჯიხის, ზუგდიდის (სოფ. რიყე, რუხი და ხურჩა) მუნიციპალიტეტებში მცხოვრები სტუდენტების სიების დაზუსტებაზე", – ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ᲩᲕᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲣᲑᲐᲖ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲔᲑᲘ, ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲔᲑᲘ, ᲐᲠᲛᲐᲖ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐ-ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ!

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ.

დიახ, წავიდა და, რა თქმა უნდა, მისმა ამ ნაბიჯმა საკმაოდ ბევრი საფიქრალი გაუჩინა როგორც მის მომხრეებს, ასევე მოწინააღმდეგეებს.

– სად წავიდა?

– როგორ წავიდა?

– რატომ წავიდა?

– სახლში წავიდა, თუ სხვაგან?

და ყველაზე სარკასტული შეკითხვა – ბიზნეს-ცენტრს გვაჩუქებს?

ეს ის შეკითხვაა, რომელსაც ე.წ. ჟურნალისტები „ისვრიან“, ზუსტად განსაზღვრავს იმ რევანშისტების აფთრულ ბუნებას, რომლებიც მსგავსი სულელური შეკითხვების დასმას ავალებენ და რომლებიც სწორედ ბიძინა ივანიშვილის წყალობით ხელისუფლებაში ვეღარასდროს მოვლენ!

დიახ, ზუსტად განსაზღვრავს იმ ადგილს, რომლებიც მათ მზის ქვეშ უკავიათ, რადგანაც გულში უჭიატები ეიმედი, რომ ისევ მოსხდებიან ხელისუფლებაში და ყველაფერს, თითზე გადასახვევ ბოლო ძაფსაც წაგვართმევენ.

„შუშის სასახლის“ სახელმწიფოსთვის გადაცემაზე კი იმიტომ უკაწკაწებთ კბილები, რომ მისი „დათრევა“ უფრო გაუადვილდებათ.

მსგავსი პათოსი ამ ჯურის ტელევიზიების უამრავ სიუჟეტში ჩანს.

მაგალითისთვის გეტყვით – ტვ პირველმა „სკანდალური სიუჟეტი“ მოამზადა და კომენტარები აბესაძეს და ლევანა ხაბეიშვილს სთხოვა – ბიძინა ივანიშვილმა თავისი „ლაგუნა ვერე“ თავისი კუთვნილი ფონდ „ქართუს“ გადასცა, რომელიც გაარემონტებს და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ მოსყიდვის მიზნით სახელმწიფოს აჩუქებსო. იმ ორ იდიოტზე, რომლებმაც დაწერილი „კომენტარი“ ისე სხაპასხუპით წაიკითხეს, რომ ერთი სიტყვაც არ შეუცვლიათ, არაფერს ვიტყვი. უბრალოდ, ტვ პირველის „ტაქტიკამ“ გამაოცა: 1. რაში სჭირდებოდათ ორი კლოუნის ერთი და იგივე ტექსტით ჩაწერა? „სკანდალს“ წონა შეჰმატეს და უფრო დაგვძაბეს, თუ რა? თან იმ ტიპების კომენტარი, რომლებსაც, დარწმუნებული ვარ, ცხოვრებაში არავისთვის არაფერი უჩუქებიათ. 2. თუ ტვ პირველში ჰგონიათ, რომ ფრაზა – ივანიშვილი „ლაგუნა-ვერეს“ აღადგენს და როგორც მას სჩვევია, სახელმწიფოს აჩუქებსო, ხალხს გაიღიზიანებს და დაძაბულობას გამოიწვევსო, უტვინოები ყოფილან და თუ არ ჰგონიათ, მაგრამ ამ „სკანდალის აგორება“ მაინც სცადეს, იდიოტები. პრინციპში, შეიძლება მასალები არ ჰყოფნიდათ და დროის შესავსებად ჩასვეს...

რაც შეეხებათ იმ ჭია-ჭუებს, რომლებიც აღფრთოვანებულნი (ნეტა რამ აღაფრთოვანათ?), კისა ვორობანინოვივით დაბერილი ლოყებით აკეთებენ „კომენტარებს“, ჩვეულებრივი კლოუნები არიან და დღეს, როცა პანდემიის გამო ცირკი დაკეტილია, სხვადასხვა საინფორმაციო მედია საშუალებებიდან გვართობენ.

კეთდება საკმაოდ ბევრი განცხადება და „ექსპერტული კვლევა“, რაც პირველ რიგში ამ გადაწყვეტილებას და, რაღა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ მომავალს ეხება.

მოდით ყოველგვარი ემოციის გარეშე, ივანიშვილის მომხრეთა გულისწყვეტა იქნება ეს თუ მოწინააღმდეგეთა „ხბოს აღტაცება“, ვნახოთ თუ რა მოხდა და ვივარაუდოთ, თუ რა მოხდება.

პირველი და მთავარი არის ის მიზეზები, თუ რატომ მოვიდა ივანიშვილი პოლიტიკაში: ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მაშინ შემოვიდა, როცა წყდებოდა ქვეყნის ფიზიკური გადარჩენის უდიდესი პრობლემა.

მან ფაქტობრივად გააცოცხლა მაშინდელი ოპოზიციის უდიდესი ნაწილის ყოვლად უნიათო ქმედებებისგან ჩაკლული იმედი და საზოგადოება მოძალადე რეჟიმისგან დემოკრატიულად, არჩევნების გზით გათავისუფლებისთვის გააერთიანა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისმა პოლიტიკაში მოსვლამ საქართველო და თითოეული ჩვენგანი ფიზიკური და მორალური განადგურებისგან გადაარჩინა. რა თქმა უნდა, ამ წლების განმავლობაში იყო უამრავი წინააღმდეგობა, შიდა ღალატი, მენტალობით „ნაცი“ თანამებრძოლებისგან ღალატი, მაგრამ ივანიშვილის ფაქტორი გარკვეულწილად მაინც ინარჩუნებდა სტაბილურობას და განვითარების საშუალებას იძლეოდა.

ივანიშვილმა ჩათვალა, რომ დღეს, როცა მისი, როგორც პოლიტიკოსის მისია – არჩევნებში გამარჯვება, წინსვლაზე ორიენტირებული და შემძლე მმართველი გუნდის ჩამოყალიბება, ის არ გამოედევნა ქიმერას – ერქვას თავმჯდომარე, რაც ბევრისთვის გაუგებარია (განსაკუთრებით იმ პოლიტიკანებისთვის, რომლებიც იმისთვის, რომ რაღაც ერქვათ, აბსოლუტურად ყველაფერზე მიდიან, ტალახშიც კი ხოხავენ, ოღონდ „რაღაცის ლიდერი“ ერქვათ) და პოლიტიკიდან გამარჯვებული წავიდა.

როცა მსგავსი ტიპების ქიჩმაჩს ვუყურებ, ვახტანგ ბოჭორიშვილის სიტყვები მახსენდება – ონანიზმი კარგი რამაა, უბრალოდ შედეგი არ მოაქვსო.

ბატონმა ვახტანგმა ე. წ. ოპოზიციის მოთხოვნები, ბაიდენი, ნოვოსიბირსკი, ილონ მასკის თანამგზავრები, სიცხის გაზომვისას დაჩიპვა, დ.ა.შ. უბრალოდ აღარ ჩამოთვალა. ერთ სიტყვაში ჩაატია სათქმელი.

ძალიან საინტერესოა ამონარიდი ანალიტიკოს დავით ქართველიშვილის შეფასებიდან ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე: – „დღეს ჩვენი დროის გმირი და მარტები ებთ იმედი, რომ ისევ მოსხდებიან ხელისუფლებაში და ყველაფერს, თითზე გადასახვევ ბოლო ძაფსაც წაგვართმევენ.



თლაც რომ თავდადებული ადამიანი - ბიძინა ივანიშვილი ტოვებს პოლიტიკას. ტოვებს ჩვენი საზოგადოების, პოლიტიკური კულტურის „სრულწლოვან ასაკამდე“ მიყვანის პირობებში, და არა ქართული მანკიერი ტრადიციისამებრ, როდესაც 50 წელს მიღწეულ შვილს დასდევენ მოხუცი მშობლები: „ბოდი შვილო, ჭამე ან ჩაიცვი“.

ბიძინა ივანიშვილი გაჩნდა ქართულ პოლიტიკურ ჰორიზონტზე მაშინ, როდესაც საქართველოსთვის სხვა თავდადებულ ლიდერებს – მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძეს, ზვიად გამსახურდიას, გურამ შარაძეს, ბადრი პატარკაციშვილს უბრალოდ კლავდნენ. ასევე კლავდნენ გია ჭანტურიას, ზურაბ ჟვანიასაც... თუმცა იმ ზემოთ ჩამოთვლილ ქართველ პატრიოტებს მე მაინც ცალკე გამოვყოფდი. და რა ჩამოთვლის კიდევ იმ უამრავ მსხვერპლს, რომლებიც შეეწირა 2003-2012 წ.წ. გაუგონარი ცინიზმის, ღალატის, სისასტიკის, ღმერთმოძულეობის რეჟიმის პერიოდს. სწორედ ამ დროს გამოვიდა პოლიტიკურ არენაზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის და ჩვენი საზოგადოების გადასარჩენად ბიძინა ივანიშვილი და ამას მართლაც რომ თავდადება ჰქვია.

ბიძინა ივანიშვილის განცხადება კიდევ ერთი მოჯადოებული წრიდან ქვეყნის გამოსვლას უტოლდება. ჩვენდა სანწუხაროდ, საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში ვერ შემუშავდა პოლიტიკური პატივისცემის მემკვიდრეობა და ელემენტარული მადლიერების გრძნობა, იმ ლიდერებისადმი, ვინც ამას იმსახურებდა. გაჩნდა ქვეყანაში, მისი განვითარების ურთულეს პერიოდში ზვიად გამსახურდია, და ჩვენ ის მოვკალით. მოხდა მისი ჩანაცვლება ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურით – და მივიღეთ ის, რომ სწორედ მან შეუქმნა საფუძველი, ქვეყანაში მოსულიყვნენ შავბნელი ძალები 9-წლიანი ანტიქართული ექსპერიმენტების ჩატარების მიზნით. რომ არა ბიძინა ივანიშვილის გმირული გამოჩენა ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენის ყველაზე საჭირო მომენტში, დღეს დამოუკიდებელი საქართველო ალბათ აღარც იარსებებდა და ჩვენი ეკლესიაც კატაკომბური მსახურების რეჟიმში გადავიდოდა.

დღეს ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ქვეყნის ლიდერი პირველად ტოვებს ქვეყნის პოლიტიკურ ველს ნებაყოფლობით ისე, რომ ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილში მხოლოდ მადლიერების გრძნობას ტოვებს. მიდის ისე, რომ მას არ სჭირდება რაიმე მატერიალური ძეგლის დადგმა. ის რჩება ათასობით ადამიანთა გულებში, როგორც უდიდესი პატრიოტი და ქველმოქმედი საკუთარი ქვეყნისა და ერისა. ამავდროულად ის, რა თქმა უნდა, რჩება ამ ქვეყნის მოქალაქედ – ოღონდ ამ ეტაპზე უკვე როგორც საკუთარი პოლიტიკური მისიის ბოლომდე მიმყვანი ისტორიული და საზოგადო მოღვაწე“.

ბიძინა ივანიშვილისგან საქართველოს მოსახლეობა ძალიან ბევრ რამეს ელოდა.

სამწუხაროდ, მხოლოდ ცოტას თუ ჰქონდა სურვილი „დაჭერილი თევზის ნაცვლად ანკესი მიეღო“ და ამ მოლოდინის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იყო 2012 წელს საზოგადოების რეაქცია მაშინდელი ხელისუფლების მიერ ივანიშვილის „ქართუ ბანკზე“ განხორციელებული თავდასხმა, როცა საინკასაციო მანქანები ფაქტობრივად დააყაჩაღეს და 80 მილიონი ლარი გაიტაცეს.

ხალხი მიაწყდა „ქართუ ბანკის“ ოფისებს, სტუდენტები, პენსიონერები, უმუშევრები ხსნიდნენ ანგარიშს და თითო ლარი შეჰქონდათ.

ბუნებრივია, რომ ზარალი ამ თითო ლარით ვერ ანაზღაურდებოდა, მაგრამ ეს იყო სოლიდარობის აქცია. სოლიდარობის, რომელიც მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა გამოხატა. იმ სოლიდარობის, რომლის გამოხატვაც გაგიკვირდებათ და მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ.

როცა ბანკიდან გამოვედი, ჩემი ნაცნობი შემხვდა. ბუნებრივია, მკითხა თუ რამდენი შევიტანე. ვუპასუხე, რომ ერთი ლარი. გაუკვირდა და ჩუმად მითხრა – არ გაგიგია, რომ ივანიშვილს უთქვამს, გამარჯვების შემდეგ ყველას გაორმაგებულად დავუბრუნებ შეტანილ თანხასო.

საოცარია, მაგრამ იმის მოლოდინი, რომ ვიღაც სხვა ჩვენს გასაკეთებელს გააკეთებს, ცნობიერებაში საკმაოდ ღრმად არის გამჯდარი და რბილად რომ ვთქვა, ძალიან ცუდად მოქმედებს ჩვენს მომავალზე.

წერილს კი ჩემი კოლეგის გიორგი იაკობაშვილის ფეისბუქ-პოსტით დავამთავრებ: „ნაცები და მათი გამონაყოფები ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამდეც გარეწრები იყვნენ, ივანიშვილის პოლიტიკაში ყოფნის დროსაც და პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგაც გარეწრებად დარჩებიან, – ეს არის მოცემულობა.

მთავარი ის კი არ არის, სად იქნება ივანიშვილი, მთავარია ჩვენი არჩევანი – სად გვინდა, რომ ვიყოთ, როგორც სახელმწიფო და როგორც საზოგადოება და რამდენად გვაქვს ნება და სულიერი და ინტელექტუალური რესურსი, რომ ვიბრძოლოთ ჩვენი არჩევანის დასაცავად.

მუდმივად ვწუწუნებთ, რომ გვართმევენ ქართველობას, გვართმევენ მეობას, სახელმწიფოებრიობას, ტერიტორიებს, უკანასკნელ პერანგს, ბოლო ლუკმას, გადამწყვეტ გოლს, რამდენიმე ლაიქს... მაგრამ არასოდეს ვაღიარებთ, როდესაც გვართმევენ ღირსებას.

სულ ველით, რომ მოვა ვიღაც, ვინც ჩვენს ნაცვლად დაიბრუნებს დაკარგულს და თან ფულს აქეთ გადაგვიხდის. რაც შეეხება ღირსებას... ალბათ, არ გვქონია და ამიტომ არც მის დაკარგვას ვდარდობთ, ჩვენ ხომ კინეტიკური და პოტენციური გუბაზ სანიკიძეები, მურმან დუმბაძეები, არმაზ ახვლედიანები, ეკა ბესელიები და გიორგი მარგველაშვილები ვართ!!!

დარწმუნებული ვარ, ბევრს ეგონა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ყოველ დილით, ბალიშის ქვეშ ოქროს თუმნიანები დახვდებოდათ „არიოლზე“ ბიძინას პროფილით და „რეშკაზე“ ჭორვილას ხედით.

აი, ის ხალხი, მთელი ცხოვრება მხარ-თეძოზე რომ არის წამოწოლილი, ბიუჯეტში ერთი თეთრი რომ არ ჩაურიცხავს, მაგრამ ხშირ-ხშირად და ამაყად რომ წარმოთქვამს: „ჩემი დაფინანსებული პოლიცია... ჩემი დაფინანსებული სასწრაფო... ჩემი დაფინანსებული ტელევიზია...“

და, ისევ გამახსენდა „რადიო 105“-ის ერთი ძველი არტი: „...ეს სად ვცხოვრობთ, ჩემი დედა ვატირე!!!“

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

P.S.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავრცელდა ინფორმაცია ივანიშვილის მიერ საკუთარი აქტივების 95 პროცენტის ფონდ „ქართუსთვის“ გადაცემის შესახებ. მინდოდა, რაღაც დამეწერა საკუთარი ქონების 95%-ის სამშობლოსთვის გადაცემაზე, მინდოდა, ორი სიტყვით გამეკენწლა ის თახსირი არსებები, ვინც ამ უზარმაზარ ქველმოქმედებასაც ისევე უკულმართად აფასებენ, როგორი უკულმართი სულიერი ირიენტაციისაც თავად არიან, მაგრამ ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ ზედმეტი იქნებოდა, რადგანაც გულიდან ამოსულ საქმეს მხოლოდ მადლიერება და დაფასება სჭირდება.

„არ მიმაჩნია, რომ „გავღარიბდი“. ჩემი კაპიტალი ერთი ქართველის კერძო მფლობელობიდან სრულიად საქართველოს, ყველა ქართველის სამსახურში იხარჯება და ის, რაც ფონდმა შეძლო, შეექმნა ან გადაერჩინა, ყველა იმ საუნჯის თანამესაკუთრე ხომ ვართ მე და ჩემი ოჯახი? ვართ და თუ ვართ, მაშინ, რაღანაირად „გავღარიბდი“? ახლა რომ „ჩემია“ ის, რაც გავეცი, არასოდეს ისე „ჩემი“ არ ყოფილა, რადგან ვერავინ გაფლანგავს აწი მას და ვერ გაანიავებს (ვერც მე, მათ შორის). ასე რომ, რასაც გასცემ, მხოლოდ ის არის საბოლოოდ შენი, ამაშია რუსთაველის სიბრძნე და სიდიადე. ყოველ შემთხვევაში, მე, ერთი ქართველი, ჩემი მეუღლე და ჩემი შვილებიც ასე ვკითხულობთ მას.“

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲔᲚᲘᲐᲜ

FBI-იმ მიიღო ინფორმაცია, რომ აშშ-ის 50-ივე შტატის ცენტრსა და ქვეყნის დედაქალაქ ვაშინგტონში ჯო ბაიდენის ინაუგურაციამდე რამდენიმე დღით ადრე იგეგმება ე.წ შეიარაღებული პროტესტის დაწყება. აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა იმ უსაფრთხოების ზომების ფონზე, რომელსაც აშშ-ის სამართალდამცავი უწყებები ამჟამად იღებენ ინაუგურაციის დღისათვის. უშიშროების უწყებების თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ კაპიტოლიუმის ინციდენტის მსგავსად მოხდეს მასობრივი არეულობა ქვეყნის მთელი მასშტაბით.

„შეიარაღებული პროტესტი იგეგმება 50-ივე შტატში 16 იანვრიდან 20 იანვრის ჩათვლით, ხოლო უშუალოდ დედაქალაქში კი 17 იანვრიდან 20 იანვრის ჩათვლით“, – ამის შესახებ ნათქვამია ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ოფიციალურ შეტყობინებაში. აგრეთვე არსებობს ამბოხისაა და არეულობის განვითარების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში თუ ტრამპის იმპიჩმენტი ინაუგურაციის დღემდე კონსტიტუციის 25-ე შესწორების თანახმად მოხდება. 8 იანვარს ფედერალურმა ბიურომ მიიღო ინფორმაცია ერთ-ერთი იდენტიფიცირებული ჯგუფის შესახებ, რომელიც მოუწოდებდა სხვებს, შეუერთდნენ მათ ადგილობრივი და ფედერალური სასამართლოების, ადმინისტრაციული შენობების თავდასხმაში იმ შემთხვევაში, თუ ინაუგურაციის დღემდე მოხდებოდა ტრამპის თანამდებობიდან გათავისუფლება.

ᲙᲣᲑᲐ ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲐ?..

„კუბა ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოების სიაში ბრუნდება, ვინაიდან კუბამ ტერორიზმის მხარდაჭერის შეწყვეტის შესახებ ნაკისრი ვალდებულება დაარღვია, რომელიც მან 2015 წელს აიღო, როდესაც აშშ-ის ადმინისტრაციამ ის აღნიშნული სიიდან ამოიღო“, – აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ. 2014 წელს ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ კუბის მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკა ეფექტური არ არის და ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზება გამოაცხადა. 2015 წელს ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ კუბა ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოების სიიდან ამოიღო.

ᲓᲘᲓᲘ ᲓᲔᲞᲝᲠᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ მთავრობა დაჩქარებული წესით, იმ ადამიანების დეპორტაციას გეგმავს, რომლებიც ქვეყანაში არალეგალური სტატუსით ცხოვრობენ.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ასეთი 250 ათასი პირია. ამ ადამიანებს არ აქვთ ლეგალური სტატუსი რადგან მათი ვინაობა საბუთების არ არსებობის გამო ვერ დადგინდა. გერმანიის ხელისუფლება აფინანსებს უცხო ქვეყნის საელჩოებს, რათა ეს ადამიანები დეპორტაციის მიზნით გამოიკითხოს.

ეს ადამიანები საელჩოებში გამოკითხვაზე უნდა გამოცხადდნენ და დეპორტაციისთვის საჭირო დოკუმენტაციას მხოლოდ მათი ვინაობის დადგენის შემდეგ მიიღებენ. ანალოგიური წესებით სარგებლობას გეგმავენ ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნებიც. 2019-2020 წლებში საელჩოებში გამოკითხვაზე 1 100 ადამიანი დაიბარეს ნიგერიიდან, 370 – განადან, 146 – გამბიიდან, ხოლო 126 – გვინეიდან.

ფრანკო კორელი - „ენრიკო კარუზოს უმცროსი ძმა“

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ტრადიციებს რაღაც საკრალური მნიშვნელობა აქვს, რადგან თითოეული მათგანი სრულად ასახავს ამა თუ იმ ხალხის თვისებებს, ჩვევებს და რეალურ სახეს წარმოაჩენს. ასე, მაგალითად, იტალიელებისთვის სიმღერა, განსაკუთრებულ თვისებადაა მიჩნეული. საოპერო ხელოვნება, რომ იტყვიან — მათ ძვალსა და რბილში ისე ღრმადაა გამჯდარი, რომ ვენეციელი გონდოლიერის, ჩვეულებრივი ტაქსის მძღოლის, მუშისა თუ გლეხის სულიერ საზრდოდ ქცეულა. ამიტომაც, ქვეყნის ნებისმიერ ადგილას შეიძლება ისეთი საოპერო არია მოისმინოთ, რომ თეატრში წასვლაც კი აღარ დაგჭირდეთ.

იმ დროს, როდესაც იტალიის მუსიკალურ წრეებში საოპერო ხელოვნების ჰორიზონტზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა და მასზე ერთგვაროვანი აზრის ჩამოყალიბება ვერ ხერხდებოდა, ხშირად „დასახმარებლად“ მიმართავდნენ ხოლმე იტალიაში ცნობილ, ეგრეთ წოდებულ „ბოლონიის მუსიკალურ ბარომეტრს“. ხმების შემფასებლებისა და მადის აღმძვრელი სამზარეულოს მოყვარულები ასე უწოდებდნენ ჩასუქებულ მიკიტანს, რომელიც გემრიელი სპაგეტის გარდა, ოპერისადმი განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩეოდა. მისი რესტორნის კედლების უმეტესი ნაწილი დათმობილი ჰქონდა საქვეყნოდ აღიარებული იტალიელი მომღერლების, უმეტესად ტენორების: აურელიანო პერტილეს, ჯოვანი მარტინელის, ანჯელო მაზინის, ბენიამინო ჯილის, ჯაკომო ლაური ვოლპის სურათებს... ცნობილ მიკიტანს ბოლო ადგილი (ნიშა) დიდი ხნის განმავლობაში თავისუფალი ჰქონდა. მოგვიანებით მან მასში ფრანკო კორელის პორტრეტი განათავსა. იტალიის საოპერო სცენაზე გამოჩნდა „კარუზოს უმცროსი ძმა“. ასეთნაირად მონათლეს კრიტიკოსებმა კორელი, მსოფლიოს თეატრებში მისი ტრიუმფალური გამოსვლების შემდეგ.

მისი სახელის ირგვლივ არაერთი მითქმა-მოთქმა არსებობს, რაც ზოგჯერ სინამდვილისგან საკმაოდ შორს არის. უმეტესობა მათგანს, თვით მომღერალმაც შეუწყო ხელი. გარეშე პირთაგან მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და ეგრეთ წოდებული „დაცვის“ მისეულმა მოსაზრებამ ცნობის მოყვარეთა ინტერესი უფრო გაამძაფრა, ჭორებისა და მოგონილი ამბების რაოდენობა საკმაოდ გაზარდა. საამისოდ, თუ გნებავთ ავიღოთ მისი დაბადების თარიღი, რითაც მომღერლის ბიოგრაფები იწყებენ ხოლმე.

ოფიციალური ვერსიის ზოგიერთი მონაცემებით კორელი 1921 წლის 8 აპრილს დაიბადა იტალიის ქალაქ ანკონაში. დაბადების ადგილი არავისში იწვევს ეჭვს, მაგრამ არა ერთი მათგანი დაბადების თარიღად 1923 წლის 23 აგვისტოს ასახელებს, ხოლო მისი ნამდვილი სახელი დარიო გახლდათ.

დაიბადა ოჯახში, რომლის წინაპრები მოყვარული მომღერლები იყვნენ (მათ შორის კორელის ორი ბიძა ანკონის საოპერო თეატრის გუნდში მღეროდა). ვარაუდობდნენ, რომ ფრანკო მამამისის, რომელიც ანკონას პორტში მუშაობდა, საზღვაო ინჟინრის სპეციალობას აირჩევდა. დასაწყისში მართლაც ასე მოხდა, სკოლის და სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ, ბოლონიის უნივერსიტეტში მოეწყო საინჟინრო-გემთმშენებლობის სპეციალობაზე. თუმცა, მალე შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და 23 წლისა, მეგობრების რჩევით, პეზაროს კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე აბარებს, სადაც სიმღერის სწავლას სოპრანო რიტა პავონისთან იწყებს. სამი თვის მეცადინეობის შემდეგ კორელი მიხვდა, რომ მაღალი ნოტები დაკარგა. შეშფოთებულმა მიატოვა მეცადინეობა და საერთოდ კონსერვატორიაც.

ცოტა ხანს იგი მშობლიურ ქალაქ ანკონაში კერძო გაკვეთილებს იღებდა სიმღერაში. სამწუხაროდ, ამანაც შედეგი ვერ გამოიღო. იმედგაცრუებული დამოუკიდებლად მეცადინეობს. მან მოაგროვა თავისი დიდი წინაპრების — კარუზოს, ჯილის, ლაური-ვოლპის ჩანაწერები და დაიწყო მათი მოსმენა, ამავე დროს თავისი ყოფილი თანაკურსელების რჩევებსაც იღებდა შიგადაშიგ. თუმცა, ვერც ამ შემთხვევაში მიაღწია წარმატებას. ერთ დღეს მისმა მეგობარმა კარლო სკარაველიმ მას მეცადინეობის ახალი მეთოდის შესახებ ამცნო, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სიმღერის დროს ხორხს რაც შეიძლება დაბალი მდგომარეობა უნდა დაეკავებინა. სკარაველი ცნობილ პედაგოგთან არტურო მელოკთან სწავლობდა, რომელთანაც თავის დროზე საქვეყნოდ აღიარებული მომღერალი მარიო დელ მონაკო მეცადინეობდა. თვითონ კორელი მელოკის მოსწავლე არასოდეს არ ყოფილა. მას ფრანკო სულ რაღაც ორჯერ შეხვდა. იგი სკარაველის ახსნასა და სიტყვიერ გადმოცემას ყურადღებით აკვირდებოდა და ყველაფერს გულდასმით ითვისებდა. მან მარიო დელ მონაკოს ჩანაწერები შეისწავლა და დაიწყო მისი სიმღერის იმიტირება. სულ მალე მიხვდა, რომ სიმღერის სწავლების ახალი ტექნიკა მისთვის ეფექტურია, რომელსაც ამასთანავე გააჩნდა თავისებური უპირატესობა. ეს გარკვეულ რისკს შეიცავდა, რადგან სახმო იოგები ასეთ დროს დიდ დატვირთვას განიცდიდნენ. თუმცა, კორელი სრულად მოერგო ამ მეთოდს, აიძულებდა რა, როგორც თვითონ ამბობდა, მის ხორხს თავისუფლად „ეცურავა“. სწორედ ამან განაპირობა, რათა მისი ხმა ერთფეროვანი არ ყოფილიყო და თავისუფლად ემღერა მეცა-ვოჩე და თავისი ლეგენდარული დიმინუენდო მაღალი რეგისტრის დროს.

ფრანკო კორელი იტალიურ საოპერო ოლიმპზე სრულიად მოულოდნელად შემოიჭრა. თუ როგორი იყო მისი დამოკიდებულება სიმღერისადმი, იგი ამას ასე აღწერს: „ხმის დაყენებისთვის რაღაც გარკვეული წესები და მზა რეცეპტები არ არის. შემიძლია ვთქვა, რომ ოცდაოთხი საათი მთლიანად ხმაზე ვფიქრობდი, მხოლოდ ცალკეულ ლამაზ ნოტებზე, სპექტაკლიდან სპექტაკლამდე ვამოწმებდი ყველა ფრაზას, რათა არსებული მასალიდან, რომელიც ბუნებამ მომცა, ფინალური შედეგი მიმეღო. ამ მონაპოვრის მთელ ისტორიაში იყო განსაკუთრებულად საგულისყურო ეტაპები. ვიგონებ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ხოზეს პარტიისადმი ოპერიდან „კარმენი“. ვიგონებ აგრეთვე ჩემ შიშს რადამესის როლისადმი ოპერიდან „აიდა“. თუმცა მომდევნო პერიოდში თანდათან შევურიგდი რადამესს, რომელიც ჩემი მნიშვნელოვანი როლი გახდა. ხშირად ვფიქრობ ოპერა „მეკობრეებზე“, რომელმაც განაპირობა მაღალი ნოტების ფლობა. დარწმუნებული ვარ, მაღალი ნოტები კომპოზიტორების მიერ დაწერილი იყო იმიტომ, რომ უფრო ნათლად ყოფილიყო წარმოჩენილი ამა თუ იმ პერსონაჟის სახე... გარკვეულ შედეგამდე რომ მიხვიდე, ყველაფერი უნდა შეწირო ხმას“.

1951 წელს კორელი პირველად გამოვიდა მაყურებლის წინაშე „ფლორენციული მუსიკალური მაისის“ ფესტივალის ვოკალისტთა კონკურსზე და, მისსავე გასაკვირად, პირველი ადგილი მოიპოვა. ამის შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო სპოლეტოს ვოკალისტთა კონკურსში და აქაც გაიმარჯვა. კონკურსის ჯილდო საოპერო სპექტაკლში დებიუტი იყო. გამარჯვებულ კორელის ვერ გადაეწყვიტა, რომელი ოპერა აერჩია. ამაში მას დირიჟორი ოტავიო ზიინი დაეხმარა. იმავე წლის 26 აგვისტოს იგი ხოზეს პარტიას მღერის ოპერა „კარმენში“. სპექტაკლს წინ უძღოდა მომღერლის ხმის მოცულობით და დიაპაზონით აღფრთოვანებული რეცენზიების მთელი ნიაღვარი. კორელით მაშინვე დაგულისყურდნენ საოპერო თეატრები, თუმცა, არავინ ჩქარობდა მიწვევას. მისი წარმატება სრულიად მოულოდნელად მოვიდა. 1952 წელს მან რომში ბანდონას პარტია იმღერა ოპერა „ჟულიეტა და რომეოში“. შთაბეჭდილება დიდი იყო. აქვე, ოთხი თვის შემდეგ, მიიღო მონაწილეობა „ადრიანა ლეკუვრერის“ დადგმაში მარია კანილიასა და ტიტო გობთან ერთად. მომღერლის შესაძლებლობებმა, როგორც იქნა, დაარწმუნა რომის საოპერო თეატრი, რომ ნამდვილად ღირდა მისი მუდმივად მიწვევა. სულ მალე ფრანკომ აღმატებული გამოსვლის შემდეგ იგი რომში ბრუნდება და მონაწილეობს მსოფლიო პრემიერაში გუერინის ოპერა „ენეაში“. თავად ოპერამ საერთო აღიარება ვერ მოიპოვა და სულ რაღაც ორჯერ დაიდგა, რაც შეეხება მონაწილეებს, რომელთა შორის კორელთან ერთად იყვნენ ანტონინა სტელა და ბორის ხრისტოვი, შესანიშნავი რეცენზიები დაიმსახურეს. იმავე წლის 9 აპრილს რომის საოპერო თეატრში მომღერალი პირველად მონაწილეობს მარია კალასთან ერთად ოპერა „ნორმაში“. ამ სპექტაკლს გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად როგორც მაყურებელში, ასევე კრიტიკოსებს შორის. სულ მალე კორელი გამოდის პროკოფიევის „ომი და მშვიდობის“ საიტალიო პრემიერაში, სადაც მან იმღერა პიერ ბეზუხოვის პარტია. კარაკალას თერმებში გამოდის ოპერა „ჯამბაზებში“. ამავე წლის ზაფხულში ხოზეს პარტიას მღერის ნეაპოლში, ბოლცანოსა და ენეში, სექტემბერში ბრუნდება სპოლეტოში და წარმატებას აღწევს „ჯამბაზებში“. რავენაში პირველად ასრულებს რადამესის პარტიას ვერდის „აიდაში“.

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, 1958-59 წლების „ლა სკალას“ სეზონისთვის კორელი გაკვეთილებს იღებს ჯაკომო ლაური-ვოლპისთან. მათ ერთობლივად შეისწავლეს ოპერები: „ტრუბადური“, „პურიტანები“, „ბოჰემა“, „ტოსკა“ და „პოლიევქტი“. მეცადინეობის მიზანს წარმოადგენდა სუნთქვის კონტროლის გაუმჯობესება და მანიშნულ თეატრში ვარსკვლავის სახელი დაიმკვიდრა. ზაფხულის სეზონის დროს იგი კარაკალას თერმების სცენაზე წარმატებით მღერის ხოზეს პარტიას ბიზეს „კარმენში“. ამ დროისთვის ეს როლი თითქმის ერთადერთი იყო მის რეპერტუარში. ამავე წელს იგივე პარტიას მღერის ჯულიეტა სიმონატოსთან ერთად ტრიესტში, შემდეგ კი სან რემოსა და ტურინში.

1953 წელს პალერმოში წარღალ რეგისტრებში უფრო დამაჯერებელი სიმღერა.

უკვე 1954 წლიდან, ტენორი „ლა სკალას“ დასთან ერთად მღერის ლიცინიას პარტიას სპონტინის ოპერაში „ვესტალკე“. ამ თეატრში მისი საუკეთესო როლებია: გუალტერი ბელინის ოპერა „მეკობრეებში“, პოლიევქტი დონიცეტის ამავე სახელწოდების ოპერაში და რაულ მეიერბერის ოპერა „ჰუგენოტებში“. მხოლოდ მისი სახელის გამოჩენა საკმარისი იყო ნებისმიერი თეატრის გასავსებად და მაყურებლის ემოციური ენთუზიაზმის გამოწვევისთვის.

1957 წელს მისი დებიუტი შედგა „კოვენტ გარდენის“ თეატრში, სადაც გასაოცარი შთაბეჭდილებით წარმოაჩინა კავარადოსის პარტია პუჩინის „ტოსკაში“. 1961 წლიდან იწყება მისი აქტიური თანამშრომლობა ნიუიორკის „მეტროპოლიტენ-ოპერასთან“, რაც რამდენიმე წელი გრძელდებოდა. აქ მისი პირველი როლი მანრიკო იყო ვერდის „ტრუბადურში“, სადაც მომღერალმა თავისი გამორჩეული თვისებები გამოამჟღავნა და ამერიკელი მაყურებლის დაუსრულებელი ოვაცია გამოიწვია.

ფართოა ფრანკო კორელის რეპერტუარი, რომელიც 35-მდე ოპერას შეიცავს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც თავისი სირთულით იშვიათად იდგმებოდა თეატრებში. მისი ბოლო სპექტაკლი ტორე-დელ-ლაგოში გაიმართა, სადაც ბრწყინვალებით წარმოაჩინა რუდოლფის პარტია პუჩინის ოპერა „ბოჰემაში“.

სცენასთან მისი საბოლოო გამოთხოვება 1981 წლის ნოემბერში სტოკჰოლმში შედგა ბირგიტ ნილსენისადმი მიძღვნილ კონცერტში. ერთი წლის შემდეგ მომღერლის საყურადღებო კარიერის შესახებ შეიქმნა ფილმი, სადაც გამოყენებულ იქნა მისი უამრავი ჩანაწერი. მის მშობლიურ ქალაქ ანკონაში, ადგილობრივ თეატრ „მუზასთან“ თანამშრომლობის ეგიდით, ორგანიზებულ იქნა ვოკალისტთა კონკურსი, სადაც ფრანკო კორელი პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.

მომღერალს არ უყვარდა პირადი ცხოვრების გამოაშკარავება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისი მეუღლე იმ ხანად აღიარებული ბანის უმბერტო დი ლელიოს ქალიშვილი ლორეტა დი ლელიო გახლდათ, ვისთანაც მთელი ცხოვრება გაატარა.

„...მაღალი და ლამაზხმიანი, რომლის მსგავსის პოვნა ძალიან ძნელი იყო. ვნანობ,რომ ჩვენ ერთად არ გვიმღერია“, — წერდა ბევერლი სილა.

„ყველა ტენორს შორის, რომლებიც სცენაზე მომისმენია, იგი ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. აშკარად იგრძნობოდა შეუდარებელი სიმსუბუქე, როცა ის მღეროდა მაღალ ნოტებს. ეს საოცრება იყო“, — წერდა პლასიდო დომინგო.

„მან თავისი კარიერა ძლიერი, მაგრამ არც თუ ლამაზი ხმის პატრონმა დაიწყო, ბოლოს კი იქცა ერთ-ერთ უზუსტეს მომღერლად, რომელიც არაჩვეულებრივ არტისტიზმს ამჟღავნებდა“, — ამბობდა ლუჩანო პავაროტი.

ფრანკო კორელი 2003 წელს, 82 წლისა გარდაიცვალა.

გელა ძოძიაშვილი,
(ტელ. 551491997)

◎ ფარიკაობა

8 გუნდს ველით

პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, ქართველ მოფარიკავეებს ვარჯიში არ შეუწყვეტიათ. სათანადო რეგულაციების დაცვით მათ შარშან სექტემბრიდან ექვსი საწვრთნელი შეკრება გაიარეს. დეკემბრის მიწურულს 15 მოხმალავე საირმეში, ხოლო 37 მუშკეტერი (უფროსებიცა და ახალგაზრდებიც) საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით, ბორჯომში იყო საწვრთნელ შეკრებაზე.

ფარიკაობის ფედერაციისთვის მთავარი საზრუნავი სანდრო ბაზაძის მომზადებაა, რადგან მას ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზია განაღდებული აქვს. თუმცა, არიან სხვა მუშკეტერებიც, რომლებსაც თამაშების საგზურის მოპოვებ-

ბის შანსი კიდევ შერჩათ. ფედერაციის პრეზიდენტ **მერაბ ბაზაძის** თქმით, სავარაუდოდ, თებერვლიდან თბილისში ჩამოვა საქართველოს მოხმალავეთა ნაკრების ფრანგი მწვრთნელი კრისტიან ბაუერი. ქვეყნის მთავრობასთან წინასწარი შეთანხმებითა და სათანადო რეგულაციების დაცვით, 5 თებერვლიდან საქართველოს დედაქალაქში დიდი საერთაშორისო საწვრთნელი შეკრება მოეწყობა საქართველოს, საფრანგეთის, უკრაინის, თურქეთის, ბელგიის, ყაზახეთის, პოლონეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის ქალ-ვაჟთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით. „ჯვაროსანთათვის“ უცხოელთა სპარინგ-პარტნიორობა აუცილებელია საშეჯიბრო პრაქტიკის მისაღებად, რადგან მარტის დასაწყისში სალიცენზიო მსოფლიოს თასი გათამაშდება. სავარაუდოდ, სამივე სახეობას უნგრეთი უმასპინძლებს. ჩვენგან საასპარეზოდ ის სპორტსმენები წავლენ, რომლებსაც თამაშების საგზურების მოპოვების შანსი აქვთ. ამ ტურნირის შედეგებით გაირკვევა, აპრილში ბოლო ზონალურ სალიცენზიოზე ვინ მოსინჯავს ძალებს საქართველოდან. იქ ქვეყნიდან თითოეულ სახეობაში მხოლოდ ერთ სპორტსმენს აქვს ასპარეზობის უფლება, კანდიდატები კი მრავლად გვყავს: **ქალთა ხმალში** — ლიკა ჯიჯეიშვილი და თეოდორა კახიანი, **ვაჟთა რაპირაში** — ლაშა გალუაშვილი, ლუკა ღაღანიძე და არჩილ უგულავა. **ქალებში** აქ წარმომადგენელი არ გვეყოლება; **დაშნით ფარიკაობაში** ხუთნი არიან — მაია გუჩმაზოვა, ვალერია დვინინა, გიორგი კუდრიავცევი და ახალგაზრდები — ლუკა კაჭარავა და გიორგი დიდია.

— სავარჯიშო პროცესების უკეთ წარმართვის მიზნით წლეულს 2 იანვარს სპორტის სამინისტროს დახმარებით 18 ათასი ლარის ღირებულების ახალი ტრენაჟორები შევიძინეთ, რომლებიც ჩვენი მოფარიკავეების ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. საერთაშორისო ფედერაციიდან უშუალოდ მის თავკაც ალიშერ უსმანოვის თანადგომით 7 ათასი შვეიცარიული ფრანკის ღირებულების ინვენტარი და ფორმები მივიღეთ საჩუქრად, რომლებსაც ახალშექმნილ კლუბებს გადავცემთ. ჩვენი მიზანია, კლუბური მუშაობა გავააქტიუროთ და ფარიკაობაში მომეცადინეთა რაოდენობა ათასამდე გავზარდოთ, — გვითხრა მერაბ ბაზაძემ.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

სეზონის კონტურები

როგორც ცნობილია, გაჭიანურებული კრიზისის შემდეგ მსოფლიოს მე-40 ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ახალ სეზონში ანტალიაში გამართული ATP-250-ის ტურნირში გამოსვლით ჩაება, სადაც მეოთხედფინალამდე მიაღწია, ხოლო წლის პირველი დიდი სლემის ასპარეზობის — ავსტრალიის ღია პირველობის წინ უკანასკნელ რეპეტიციას მელბურნის კორტზე გაივლის, სადაც 31 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით ასევე ATP-250 კატეგორიის შეჯიბრებაში ითამაშებს.

როგორც შევიტყვეთ, აღნიშნულ ტურნირზე ჩვენი თანამემამულე მერვე ნომრად იქნება განთესილი. რაც შეეხება შესანიშნავ შვიდეულს, იგი ასე გამოიყურება: დავით გოფენი (ბელგია), კარენ ხაჩანოვი (რუსეთი), კრისტიან გარინი (ჩილე), ჯონ იზნერი (აშშ), ჰუბერტ ჰურკაჩი (პოლონეთი), იანიკ სინერი (იტალია) და რეილი ოპელკა (აშშ).

შეგახსენებთ, რომ „მწვანე კონტინენტზე“ საჩოგბურთო ელიტა წლის პირველი მთავარი ტიტულისთვის ბრძოლას 8 თებერვალს დაიწყებს.

იმავე თურქულ კურორტზე დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 15.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში ძალებს ცდიდა თბილისელი სოფიო შაფათავა. როგორც ერთეულებში, ისე წყვილებში (შვეიცარიელ სვენია ოშნერთან ერთად) იგი პირველ ნომრად იყო განთესილი.

შაფათავამ ერთეულთა ორთაბრძოლებში ზედიზედ დაამარცხა ბულგარელი ანი ვანგელოვა — 6:4, 6:4, მისი თანამემამულე ლია კარატანჩევა — 6:3, 6:2, შემდეგ მათს გზას გაუყენა შვეიცარიელი ჯენი დუერსტი — 6:3, 6:2, ნახევარფინალში კი თავად დამარცხდა მე-4 ნომრად განთესილ ტამარა გუროვიჩთან (სერბეთი) — 6:7, 6:7. არადა, პირველ სეტს 5:2-ს იგებდა.

შაფათავამ წყვილებში ნახევარფინალს უწია: შვეიცარიელ ოშნერთან ერთად პირველ წრეში სოუმია ანანეს (დიდი ბრიტანეთი) და ევგენია ბურდინას (რუსეთი) აჯობა — 6:4, 6:2. მერე ქართულ-შვეიცარიულმა დუეტმა პია ლოვრიჩისა (სლოვენია) და ადრიენ ნადის (უნგრეთი) ტანდემს მოუგო — 3:6, 6:1, 10:4, ნახევარფინალში კი იტალიელებთან — ფედერიკა არსიდიაკონოსა და აურორა ზანტედეშისთან ვერაფერს გახდა — 4:6, 5:7.

აბუ დაბის (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ქალთა საერთაშორისო ტურნირის წყვილთა ორთაბრძოლას გამოეთიშა თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვა: ამერიკელ საბრინა სანტამარიასთან ერთად მან პირველ წრეში არანჩა რუსსა (ნიდერლანდები) და ტამარა ზიდანსეკთან (სლოვენია) წააგო - 5:7, 1:6.

გივი გაგუა

◎ წყალბურთი

ახალი მწვრთნელი

ლეგენდარულმა ქართველმა წყალბურთელმა რევაზ ჩომახიძემ რამდენიმე თვის წინათ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა, ახლა კი ეროვნულ ნაკრებთან მუშაობასაც დაანება თავი. წყალბურთელებს იგი ფეისბუქ-გვერდზე დადებული მცირე ტექსტით დაემშვიდობა: „ბიჭებო, ყველას მინდა გითხრათ მადლობა ამ ორი წარმატებული წლისთვის! მადლობა შრომისთვის, ნდობისთვის და იმ ძლიერი დადებითი ემოციებისთვის! წარმატებები!!!“ როგორც შევიტყვეთ, ბატონ რევაზს სხვა საქმეებთან ერთად საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებთან მუშაობაც გადაუწყვეტია.

თბილისის „დინამოს“ და ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს კი ორშაბათს სერბი მწვრთნელი დეიან სტანოიევიჩი ჩაუდგა სათავეში. მას 3-წლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციასთან. სტანოიევიჩი, რომელიც წყალბურთს ნოვი სადის „ვოივოდინაში“ თამაშობდა, წლების განმავლობაში სერბეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე იყო. 2011

წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მან თავისი ქვეყნის 20-წლამდელთა ნაკრებს ოქროს მედალი მოაპოვებინა. სამშობლოდან წასვლის შემდეგ დეიანი რუმინელთა მწვრთნელი (2014-2018) გახლდათ, ბოლო ორი წლის განმავლობაში კი ყაზახეთის ნაკრებს ავარჯიშებდა. როგორც მთავარმა მწვრთნელმა, ყაზახეთის ეროვნული გუნდი 2019 წლის მსოფლიოს ლიგაზე მე-7, ხოლო იმავე წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-14 ადგილზე გაიყვანა.

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებს წლეულს ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელის: 14 თებერვლიდან ჰოლანდიურ როტერდამში ტოკიოს სალიცენზიო ტურნირში ჩაებმება, ხოლო 26 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით თბილისში მსოფლიოს ლიგის რვაგუნდა სუპერფინალში იასპარეზებს.

ლაშა დიდია

◎ ჭიდაობა

ბურუსი იფანტება

გულშემატკივარს ემახსოვრება, რომ ქართველმა ფალავნებმა ტოკიოს ოლიმპიადის 4 ლიცენზია ჯერ კიდევ 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვეს — 2-2 როგორც თავისუფალ (ელიზბარ ოდიკაძე — 97 კგ, გენო პეტრიაშვილი — 125 კგ), ისე ბერძნულ-რომაულ (გიორგი მელია — 97 კგ, იაკობ ქაჯაია — 130 კგ) ჭიდაობაში.

ბუნებრივია, ხალიჩის „ჯვაროსან“ დიდოსტატთა სასახელო ტრადიციები გაცილებით მეტს გვაკისრებს, მით უმეტეს მაშინ, როცა ქალებში და ვაჟთა ორივე სტილში 10-10 წონითი კატეგორიიდან იაპონიის დედაქალაქში გამგზავრების უფლებას 6-6-ის რჩეულნი დაიმსახურებენ.

და აი, გაჭიანურებული კორონაპანდემიის გამო საკმაოდ ბურუსით მოცული მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, ეტყობა, დაღმართს აღმართი მოჰყვება, რადგან დაზუსტებული უახლოესი ტურნირების გრაფიკი ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად გვაძლევს.

კერძოდ, გადაავლეთ თვალი მათ ნუსხას და თავად შეაფასეთ პერსპექტივები: **15-17 იანვარი** — ნიცა (ანრი დეგლანის სახელობის საფრანგეთის „დიდი პრიზი“), **26-28 თებერვალი** — კიევი (სახელოვან უკრაინელ მოჭიდავეთა და მწვრთნელთა მემორიალი მხოლოდ „თავისუფალთათვის“), **18-21 მარტი** — ბუდაპეშტი (ევროპის სალიცენზიო ტურნირი), **19-25 აპრილი** — ვარშავა (კონტინენტის ჩემპიონატი), **6-9 მაისი** — სოფია (მსოფლიოს დასკვნითი სალიცენზიო შეჯიბრება).

დავძენთ, რომ ნიცაში ვერ გაემგზავრება ტრავმირებული ევროპის ფინალისტი და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ელიზბარ ოდიკაძე.

კოტა კოტახიძე



◎ ხელბურთი

საპლეიოფოდ...

მარტში თბილისი ხელბურთელ ვაჟთა ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს უმასპინძლებს, სადაც საქართველოს ნაკრებს მეტოქეობას კვიპროსის (12 მარტს), დიდი ბრიტანეთისა (13 მარტს) და ბულგარეთის (14 მარტს)გუნდები გაუწევენ. ეს ოთხთა ტურნირი იანვარში უნდა გამართულიყო, მაგრამ, ისევე როგორც ბევრი სხვა, პანდემიის გამო მოგვიანებით ჩატარდება.

მომავალი საპასუხისმგებლო შეხვედრებისთვის აქედანვე ემზადებიან უცხოურ კლუბებში წარმატებით მოთამაშე ჩვენი ლეგიონერები. ერთ-ერთი მათგანია რუმინული „რეშიცას“ 24 წლის მარცხენა შუამარბი **თეიმურაზ ორჯონიკიძე,** რომელმაც კარიერა თბილისის „ქარიშხალაში“ დაიწყო, შემდეგ კი სტუ-ს, მაკედონიურ „პრილეპსა“ და „პელისტერში“, აგრეთვე უნგრულ „ფერენცვაროშსა“ და „ოროშჰაზში“ გააგრძელა.

იგი „ჯვაროსანთა“ შანსებს ოპტიმისტურად აფასებს, რაშიც მომავალ სტუმართა დახასიათებაც დაგარწმუნებთ: **„სამივე კონკურენტს კარგად ვიცნობთ და მათთან თამაშის საკმაო გამოცდილებაც გვიმაგრებს ზურგს. მაგალითად, შარშან ალბიონელებსა და ბალკანელებს მოვუგეთ, ხოლო კუნძულელებთან ერთი ბურთის სხვაობით დავმარცხდით და ამჯერად მათთან რევანში გვაქვს ასაღები. დარწმუნებული ვარ, შემდეგი რაუნდის საგზურის მოპოვება არ გაგვიჭირდება, მით უმეტეს იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პლეი-ოფში ჩვენი კვარტეტიდან ორი უძლიერესი გადის“.**

მანუჩარ გიორგაძე

სულთათანა

ირაკლი ჯიქურაშვილი – ყოველთვის უღალატო, საიმედო მეგობარი

ამ მძიმე სიტყვის დაწერა ყოველთვის ძნელია, მაგრამ განსაკუთრებით რთულია, როცა საკაცობრიო განსაცდელის, პანდემიის ჟამს, უახლოეს ადამიანს — მეგობარს, ახლობელს, თანამებრძოლს ისე ვერ გამოეთხოვები, ისეთ პატივს ვერ მიაგებ, როგორც მის ღირსებას შეეფერება; ისე ვერ მიაცილებ განსასვენებლამდე, როგორც თვითონ მიაცილებდა ყველას, ვისთანაც თუნდაც უმნიშვნელო შეხება და თბილი ღიმილი ჰქონდა ადამიანური თუ საქმიანი ურთიერთობებით დატვირთულ ამ ამღვრეულ წუთისოფელში.

ირაკლი ჯიქურაშვილი, გარეგნული და სულიერი სილამაზით შემკული ადამიანი, ისე მიუახლოვდა სამოცდაათწლიან მიჯნას, არც ცნობიერება შეუცვლია, არც აქტიური ცხოვრების წესი; საჯარო მოხელის ამპლუაშიც ჩვეული პროფესიონალიზმით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით აკურატულად უძღვებოდა საქმეს და შვილიშვილებით დახუნძლულ დიდ ოჯახსაც ზრუნვისა და ყურადღების მისხალს არ აკლებდა.

ყველა ადამიანს თავისი დანიშნულება აქვს ამ წუთისოფელში; ირაკლი ჯიქურაშვილი შეიძლებოდა კარგი მუსიკოსი ყოფილიყო, კარგი ინჟინერი, კარგი მასწავლებელი, მაგრამ ის მთელი მისი ცხოვრება ქვეყნისა და ადამიანების სამსახურად იყო გამწესებული ისეთ პოსტებზე, ისეთი ძალისხმევით, რასაც იშვიათად მოჰყვება ტაში თუ ოვაცია; საზოგადო საქმეს პირადულზე უფრო მაღლა აყენებდა და მისი პასუხისმგებლობის არეალში მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანის პრობლემის მოგვარება ირაკლი ჯიქურაშვილს, უპირველეს ყოვლისა, თავის ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნდა.

ირაკლი ჯიქურაშვილის სამსახურებრივი მიღწევები ისე ბუნებრივად და თითქოს თავისთავად ხდებოდა — ხმაურის, აჟიოტაჟის და, ამავე დროს, ზნეობრივი კომპრომისების გარეშე, რომ ერთი შეხედვით ძალზე იოლად მისაღწევად შეიძლებოდა აღქმულიყო; სინამდვილეში კი, ახალგაზრდობიდან მოყოლებული მთელი ცხოვრების მანძილზე იგი უშეღავათოდ, თავდადებით, წესიერებით, გონიერებით, შრომის მაღალი კულტურით ეკიდებოდა ყველა საქმეს, სამსახურეობრივს თუ მოხალისეობრივს.

განსაკუთრებულია მისი 25-წლიანი თანმიმდევრული შრომა საქართველოს მთავრობის კანცელარიის დავალებათა კონტროლის სამსახურში, რომლის ერთიან, პროფესიონალებით შეკრულ გუნდს ირაკლი ჯიქურაშვილი ორი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდგომ, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე, მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვებული მდიდარი პროფესიული გამოცდილებით, ამავე საქმეს ემსახურებოდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში.

ყველა ჩვენგანს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა საქმე აკავშირებდა ირაკლისთან, სხვადასხვანაირად გამოგვიცდია ერთმანეთი ქვეყნისა და ჩვენთვის კრიზისულ სიტუაციებსა თუ ჩვეულებრივ ყოფაში, ჭირსა თუ ლხინში, აღმასვლისა თუ სტაგნაციის ეტაპზე, საზოგადო თუ ოჯახურ პრობლემებთან შეჯახებისას... სხვადასხვანაირად დაგვინახავს ერთმანეთის ღირსება თუ ნაკლი, მაგრამ ირაკლი ჯიქურაშვილი, რომელიც ახლა ჩვენი საერთო ტკივილია, ყველა ვითარებაში, ყველგან და ყოველთვის იყო უღალატო, საიმედო, ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი;

და თუ რამემ შეიძლება ანუგეშოს მისი არაჩვეულებრივი ოჯახი ამ განსაცდელის ჟამს, სწორედ ესაა — ირაკლი ჯიქურაშვილის მიერ ღირსეულად განვლილი ცხოვრება და ნათელი კვალი!

ვაჟა ლორთქიფანიძე, ემზარ ზენაიშვილი, შოთა კოხრეიძე, ვახტანგ ყოლბაია, გურამ მისაგიშვილი, ოთარ მენაგდე, ირაკლი მენაღარიშვილი, ვაჟა შუბლაძე, შოთა დოლონაძე, ჯემალ ბერიძე, სპარტაკ ქოგულია, მანონ ხაჩიძე, ლაურა კუტუბიძე, იამზე მაჭავარიანი, ნელი ნადარეიშვილი, მარინა ლომიძე, უშანგი მეზურნიშვილი, ეთერ გოგბერაშვილი, ვალერი ხატიაშვილი, ლევან თედიაშვილი, იოსეგ ორჯონიკიძე, ვასილ კადენეცი, მალხაზ კაკაბაძე, ავაზ მემანიშვილი, თემურ შაშიაშვილი, გურამ ახალაია, ენვერ ნიჟარაძე, მირზა ქორქაშვილი, ჭაბუკა სხიერელი, ილია ხუციშვილი, გოდერძი ბუკია, ჯემალ მარგველიძე, თემურ ჩიქოვანი, კოტე შავიშვილი, დაზმირ ჯოჯუა, პეტრე ბერაია.

სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა 50-იანელი მეტალურგების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ინსტიტუტის დიდი მოსიყვარულე და ქომაგი

გივი ანჩაბაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს

სანთელი

დავით ხახალეიშვილი

49 წლისა გარდაიცვალა ქართული ძიუდოს ლეგენდა, ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი და მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორი **დავით ხახალეიშვილი**.

იგი პირველი ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც ოლიმპიადა საქართველოს დროშით მოიგო. დავით ხახალეიშვილს გულის პრობლემები ჰქონდა და მას ცოტა ხნის წინ მინსკში ოპერაციაც ჩაუტარდა, თუმცა, სამწუხაროდ, სეფსისი განუვითარდა და ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

მეზობლები და მეგობრები: როლანდ გილიგაშვილი, იური ოსიპოვი, არჩილ გოგელია, კოტე კუჭუხიძე, ვიოლა ჯაფარიძე, მარინა ხომერიკი, მანანა დოიჯაშვილი ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბრწყინვალე ადამიანი და კარგი მეოჯახე

გივი სანაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ამნისტიის შესახებ კანონი ძალაში შევიდა



პატიმრები საპატიმროებს უახლოესი 1 თვის განმავლობაში დატოვებენ.

როგორც პარლამენტში განიმარტა, ამნისტია 1 500-ზე მეტ პატიმარს შეეხო, 10 ათასს გაცდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც პრობაციის რეჟიმში შეღავათს მიიღებენ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, იმ ნაწილში, რომელსაც ნაკლებად აქვს წინაპირობები და პირდაპირ ითვალისწინებს პირთა გათავისუფლებას სასჯელისგან, შესაბამისი უწყებების აღსასრულებელი საქმეა.

რიგით მეექვსე გვირაბი



რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც, უბისა-შორაპნის მონაკვეთზე, სოფელ შროშაში ახალი გვირაბი გაიჭრა. უბისა-შორაპნის მონაკვეთზე სულ 13 კმ-იანი გზა, 27 ხიდი და 18 გვირაბი აშენდება.

საერთო ჯამში, ამ დროისთვის რიკოთის საუღელტეხილო გზაზე უკვე გაჭრილია 6 გვირაბი, ხოლო სამშენებლო სამუშაოები 53 გვირაბიდან 39 გვირაბზე მიმდინარეობს.

სოფელ შროშაში გაჭრილი გვირაბის სიგრძე 885 მეტრია და რიკოთის ახალ საუღელტეხილო გზაზე ამ დრომდე გაჭრილ გვირაბებს შორის ყველაზე გრძელია.

რიკოთის ახალი 52 კმ-მდე საუღელტეხილო გზა, რომელიც 96 ხიდსა და 53 გვირაბს მოიცავს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის დასრულების შემდეგ, 30 კილომეტრით შეამცირებს მანძილს, მგზავრობის დროს კი გაანახევრებს.

უკანონო თევზჭერის ფაქტი აღკვეთეს!

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გარდაბანში უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინეს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჩიანის მიმდებარედ ორი მოქალაქე ნავითა და ელექტროშოკური აპარატით თევზაობდა. სამართალდამრღვევებს მოპოვებული ჰქონდათ 2,5 კგ. სხვადასხვა სახეობის თევზი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მოქალაქეებს უკანონოდ მოპოვებული თევზი, ნავი და შოკური აპარატი ჩამოართვეს და დალუქეს.

ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლა, დეპარტამენტისთვის პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნით უწყებაში მზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები. იგეგმება არსებული რეგულაციების გამკაცრებაც, რაც უკანონო თევზჭერის აღკვეთას უზრუნველყოფს.

მადლობის წერილი

თემქის მუნიციპალიტეტის საუბნო განყოფილების მთავარ უფროსს, ქალბატონ ეკატერინე წივილაშვილს 25 დეკემბერს პენსიონერებისა და გაჭირვებული ხალხის დახმარებისთვის!

მადლობა, ქალბატონო ეკატერინე, ასეთი გულისხმიერებისთვის!

პატივისცემით, პენსიონერი
მარიამ თანდილაშვილი

◎ დღესასწაული

წმინდა ბასილი დიდი

ახალი წლის ბედნიერად წარმმართველი



14 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ახალი წლის პირველ დღეს, დღესვე არის წინადაცვეთა იესო ქრისტესი, ასევე ხსენებაა წმიდა ბასილი დიდისა.

ცნობილია, რომ ახალი წლის პირველ დღეს ეკლესიაში აღესრულება წმინდა ბასილი დიდის წირვა.

ბასილი დიდი წმინდანთა ოჯახში გაიზარდა. პირველ დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ის სწავლობდა ათენის სკოლაში... შემდეგ ძალიან დიდხანს ცხოვრობდა უდაბნოში. ის მოღვაწეობდა თავის განუყრელ მეგობართან გრიგოლ ღვთისმეტყველთან...

ბასილი დიდი მართლმადიდებლობის დამცველი იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ჰიპოტეზის თანახმად, ბასილი დიდს ევედრებოდნენ წლის კეთილად და ბედნიერად წარმართვას.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენთან დიდი პოპულარობით სარგებლობს ბასილი დიდი, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ 14 იანვრისთვის აკეთებენ ჩიჩილაკს და მას მოფერებით „ბასილის წვერებს“ ეძახიან.

გიული ლიპარტია

ახალი სკოლა მუხურაში

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურაში საჯარო სკოლა აშენდა. 120 მოსწავლეზე გათვლილი შენობა სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, — ამის შესახებ ინფორმაციას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

სკოლაში მოეწყო თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი და რეკრეაციული ზონა.

სკოლის შენობა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე.

პროექტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელა.

ზონდ INSIGHT-ის მისია მარსზე...

NASA-მ ზონდ InSight-ის და სადგურ Juno-ს მისიები გააფართოვა და გაახანგრძლივა.



InSight-ი, რომელიც მარსს სწავლობს 2022 წლამდე იმუშავებს. თავდაპირველად NASA-ში გეგმავდნენ რომ ზონდის მისია, რომელიც წითელ პლანეტაზე 2018 წელს დაეშვა, 2020 წელს დასრულდებოდა. InSight-ის ახალ ამოცანებს შორის მარსის სეისმოლოგიური მონაცემების კრებულის შექმნა იქნება.

Juno-კი, რომელსაც იუპიტერის ორბიტიდან 2021 წელს უნდა გაეყვანათ 2025 წლამდე იმუშავებს და არა მხოლოდ მზის სისტემის ყველაზე დიდ პლანეტას, არამედ მის სისტემას — რგოლებს და თანამგზავრებს შეისწავლის.

◎ ეს ჩვენი მიწა-წყალია!

საახალწლო ტურისტული ბუმი დე ფაქტო აფხაზეთში

„კომერსანტი“ გვთავაზობს EKHOKAVKAZA-ს სტატიის ქართულ ვერსიას, სადაც გამოყენებულია ოკუპირებულ რეგიონში მოქმედი ტოპონიმები და ტერმინები, რომელთაც რედაქცია არ იზიარებს.

საახალწლო დღესასწაულებზე აფხაზეთში ამ დროისთვის უჩვეულოდ ბევრი რუსი ტურისტია.

გასაგებიცაა რატომ — პირველ რიგში იმიტომ, რომ პანდემიამ რუსეთის მოქალაქეებისთვის ღია ქვეყნების რაოდენობა მკვეთრად შეამცირა. მათ შორისაა, მაგალითად, ზანზიბარი, თუმცა, ეს ძალიან შორსაა და იქ ჩასვლა დიდ დანახარჯებს მოითხოვს.

აფხაზეთი კი ახლოსაა, და ბევრად უფრო იაფია. თანაც, როგორც ეს ხშირად ხდება, რუსი დამსვენებლები ძირითადად სოჭის რეგიონს სტუმრობენ, ხოლო აფხაზეთში ერთი დღით ჩამოდიან.

მეორე ფაქტორია ამინდი. დეკემბრის ბოლოს და იანვრის დასაწყისში აფხაზეთში მზიანი და თბილი ამინდი იყო, ჰაერის ტემპერატურა კი +17 გრადუსამდე ადიოდა.

სოხუმის ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმრო „ინტერ-სოხუმი“ ამ დღეებში 70-80% შევსებულია, რაც ამ სეზონისთვის უჩვეულოა. რიწის ეროვნული ნაკრძალი, რომელიც აფხაზეთის ყველაზე პოპულარულ ტურისტულ ობიექტად ითვლება, უკვე 1 იანვარს დილით 500-ზე მეტმა ტურისტმა მოინახულა. 2 იანვარს კი — 2000-ზე მეტმა.

რა თქმა უნდა, ივლის-აგვისტოში ეს მაჩვენებელი გაცილებით დიდია — 5000-ზე მეტი, თუმცა, ზამთრისთვის ესეც ძალიან ბევრია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ნაკრძალისკენ მიმავალ გზაზე საცობები წარმოიქმნა, რაც ასევე არასდროს ყოფილა ზამთარში.

აფხაზეთის ტურიზმის სამინისტროს ინფორმაციით, 5 იანვრის ჩათვლით რიწის ტყე-პარკი 10 000-ზე მეტმა ადამიანმა მოინახულა, მაშინ როდესაც 2020 წლის ანალოგური პერიოდში — 5 541.

ზრდა ასევე ობიექტის შემოსავალზეც აისახა — 2021 წლის პირველ 5 დღეში ამ მაჩვენებელმა 3,1 მლნ., ხოლო 2020 წლის მთელი იანვრის მანძილზე — 3,6 მლნ. რუბლი შეადგინა.

მოულოდნელ ტურისტულ ბუმს მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავლებიც ტურიზმზე არაა დამოკიდებული, სიფრთხილით შეხვდა. რა თქმა უნდა, მათ პირველ რიგში კორონავირუსის გავრცელების ზრდის პერსპექტივა აშინებთ. რუსი ტურისტები აფხაზეთში ყოველგვარი შემოწმების და კონტროლის გარეშე შემოდიან. აგვისტოში ტურისტულმა ბუმმა აფხაზეთში კორონავირუსით დაავადებულთა რაოდენობის ნახტომისებრი ზრდა გამოიწვია.

მას შემდეგ რამდენიმე თვეა გასული, თუმცა, აგვისტოში დაწყებული დაინფიცირების ზრდა დღესაც არაა დასრულებული — ყოველდღიურად დაავადებულთა რაოდენობა 100-120, ზოგჯერ 140-ს აჭარბებს, ასევე 2-3 პაციენტი იღუპება.

თუმცა, იმათთვის, ვისი ფინანსური კეთილდღეობაც ტურიზმზეა დამოკიდებული, ეს ძლიერი არგუმენტი არაა — სიღარიბე და უფულობა მათ კორონავირუსზე მეტად აშინებთ.

მოამზადა თენგიზ აბლოთიამ

P. S. **ტურისტების ბუმზე ნეგატიურად იმოქმედა ხანძრების სერიამ, რომელმაც დასავლეთ საქართველოსთან ერთად მთელი აფხაზეთი მოიცვა, განსაკუთრებით გაგრისა და გუდაუთის ტყე-პარკები და რიწის მიდამოები.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 15 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3012; ევრო - 4.0156;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4546;
100 რუბლი - 4.4251; თურქული ლირა - 0.4437;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9433;
1000 სომხური დრამი - 6.3098.

ამინდი 13 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+16
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+19
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge